8 მარტი ქალთა საერთაშორისო დღეა

# მოგილოცავთ, ძვირფასო ქალებო!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 57 (14967)

7 მარტი კვირა 1971 ფასი 2 კაპ.



**ჩვენი სახელოვანი ქალები**

სკკპ XXIV ყრილობის დელეგატთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან) — ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ერგეს კოლმეურნეობის მეჩაიე გუგული ჭანიძე, თბილისის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანის" მკერავი დალი ხეცურიანი, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ძირგანახლების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე მერი დოლიძე, თბილისის კონიაკის ქარხნის ბრიგადირი ცაცა მაგრაქველიძე, თბილისის ტრიკოტაჟკომბინატის მქსოველი ციალა კვირიკაშვილი, რომლებმაც სახელი გაითქვეს ბეჯითი შრომით.

ფოტო ვლ. ბიწაძურგისა.

# საბჭოთა ქალებს

ძვირფასო ამხანაგო ქალებო!

ჩვენი დიადი სამშობლოს სახელოვანო შვილებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გულითადად გილოცავთ ქალთა საერთაშორისო დღეს — ყველა კონტინენტის ქალთა ერთიანობისა და ინტერნაციონალური სოლიდარობის დღეს.

8 მარტის გაზაფხულის ნათელი დღესასწაული ჩვენს ქვეყანაში მართლაც რომ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულია. სოციალისტური სამშობლო ზეიმით სცემს პატივს თავის შესანიშნავ შვილებს, მგზნებარე პატრიოტებს, დაუცხრომელ მშრომელებს, მზრუნველ დედებს.

ჩვენი სახელმწიფოს ცხოვრების ყველა ეტაპზე — როგორც მშვიდობიანი შრომის პერიოდში, ისე ომის მკაცრ წლებში საბჭოთა ქალებმა ცხადყვეს, რომ კომუნიზმის საქმისათვის აქტიური და შეგნებული მებრძოლები არიან.

ქალთა საერთაშორისო დღე აღინიშნება საბჭოთა ხალხის დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რაც გამოიწვია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მომავალმა XXIV ყრილობამ. ჩვენი უკიდეგანო სამშობლოს ყველა კუთხეში ამ დიდი მოვლენის აღსანიშნავად გაიშალა მასობრივი სოციალისტური შეჯიბრება, რომელშიც ფართოდ მონაწილეობენ ჩვენი სახელოვანი საბჭოთა ქალები.

სიამაყით აღვნიშნავთ, რომ ჩვენი ქვეყნის ყველა წარმატება დაკავშირებულია ქალების აქტიურ როლთან წარმოებაში, მეცნიერებაში, კულტურაში. ქალები შეადგენენ სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა ნახევარს. უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე დიპლომიან სპეციალისტთა ნახევარზე მეტი ქალები არიან. ქარხნის საამქროსა და საკოლმეურნეო ყანებში, სამეცნიერო ლაბორატორიაში და სკოლის დაფასთან, სამედიცინო დაწესებულებაში და მაღაზიის დახლთან — კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე საბჭოთა ქალები შთაგონებულად მუშაობენ თავიანთი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ. ქალებმა დიდი წვლილი შეიტანეს მერვე ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში.

საბჭოთა ქალები აქტიურად მონაწილეობენ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სახელმწიფო საქმეთა მართვაში. ხალხის წარგზავნილთა შორის, რომლებიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ამასწინანდელ არჩევნებში აირჩიეს, 463 ქალია. ასიათასობით აქტივისტი ადგილობრივი საბჭოების დეპუტატია, მუშაობს პარტიულ, პროფკავშირულ, ახალგაზრდულ, კოოპერაციულ ორგანიზაციებში, ნებაყოფლობით კავშირებსა და საზოგადოებებში. ბევრ ქალს უკავია დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო პოსტი, სათავეში უდგას სამრეწველო საწარმოებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, ხელმძღვანელობს სამეცნიერო დაწესებულებებსა და სკოლებს. ეს მკაფიოდ მოწმობს საბჭოთა ქალების ნამდვილ თანასწორუფლებიანობას, მათს დიდ როლსა და მაღალ აქტივობას ჩვენი საზოგადოების აღმშენებლობითს საქმიანობაში.

გულითად მადლობას ვუხდით დღეს დედებს. ისინი ზრდიან თავიანთ ვაჟებსა და ქალიშვილებს პატიოსან, შრომისმოყვარე ადამიანებად, სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტებად და ღირსეულ ცვლას უმზადებენ კომუნიზმის მშენებელთა უფროს თაობას. პარტია და მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა დედას არ აკლდეს მუდმივი ყურადღება, სიყვარული და ზრუნვა. მრავალშვილიანი დედები იღებენ სახელმწიფო დახმარებას, მათ აჯილდოებენ ორდენებითა და მედლებით, ანიჭებენ საპატიო წოდებებს. წლითიწლობით ფართოვდება დედისა და ბავშვის დაცვის დაწესებულებათა ქსელი. ახლა საბავშვო ბაღებსა და ბაგებში იზრდება 9 მილიონზე მეტი ბავშვი. უმჯობესდება საყოფაცხოვრებო სამსახური, რომელიც აადვილებს ქალთა ყოველდღიურ საოჯახო შრომას. სოციალური ღონისძიებანი, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება, საშუალებას აძლევენ ქალებს ბედნიერ დედობასთან ერთად სულ უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ შრომასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში, უფრო სრულად დაიკმაყოფილონ კულტურული და სულიერი მოთხოვნილებანი. მეცხრე ხუთწლიანი გეგმის შესახებ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტით გათვალისწინებულია ღონისძიებათა გაშლილი სისტემა ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგული საბჭოთა ქალები განამტკიცებენ მეგობრობას მოძმე სოციალისტური ქვეყნების ქალებთან, აფართოებენ ურთიერთობას კაპიტალისტური ქვეყნებისა და ახალგაზრდა განვითარებადი სახელმწიფოების მშრომელ ქალებთან, მხარს უჭერენ მათს სამართლიან ბრძოლას სოციალისტური და ეროვნული ჩაგვრისაგან სრული განთავისუფლებისათვის, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის. ჩვენი ქვეყნის ქალები ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა წინააღმდეგ მებრძოლთა პირველ რიგებში არიან, სოლიდარობას უცხადებენ ვიეტნამელ, ლაოსელ და კამბოჯელ ხალხებს ამერიკელ ინტერვენტთა წინააღმდეგ გმირულ ბრძოლაში, მოითხოვენ, რომ ისრაელმა შეწყვიტოს აგრესია ახლო აღმოსავლეთში.

ძვირფასო ქალებო! დედებო, მეგობრებო და დებო! სკკპ ცენტრალური კომიტეტი გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდ ბედნიერებას, ახალ წარმატებებს შრომაში, ბავშვთა აღზრდაში და გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ სახელოვანი საბჭოთა ქალები მთელ ხალხთან ერთად პარტიის XXIV ყრილობას შეხვდებიან ახალი მიღწევებით კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე, ძალღონეს არ დაიშურებენ მისი გადაწყვეტილებების წარმატებით განხორციელებისათვის, კიდევ უფრო მჭიდროდ შეკავშირდებიან კომუნისტური პარტიის გარშემო.

გაუმარჯოს ქალთა საერთაშორისო დღეს 8 მარტს!

სახელი და დიდება საბჭოთა ქალებს — კომუნიზმის აქტიურ მშენებლებს!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელ ქალებს!

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ სოციალისტურ სამშობლოს!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას — კომუნიზმისათვის ბრძოლაში საბჭოთა ხალხის პოლიტიკურ ბელადსა და ორგანიზატორს!

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი**

# სახელი და დიდება საბჭოთა ქალს!

## საზეიმო კრება მოსკოვში

გაზაფხულის პირველ დღეებში, როცა მზე ჯერ მცხუნვარე არ არის და ალერსიანი სხივებით გვათბობს, როცა აყვავდება გაზაფხულის პირველი მახარობელი — ენძელა და ია, ჩვენს ქვეყანაში მოდის 8 მარტის დღესასწაული. სხვა საზეიმო და მხიარულ დღესასწაულებს შორის იგი მეტი გულითადობითა და სილამაზით გამოირჩევა. იმიტომ რომ ეს ქალის დღესასწაულია, ქალისა, რომელიც მამების, ქმრების, ძმების მხარდამხარ იბრძოდა ახალი ცხოვრებისათვის, ამკვიდრებდა ახალ ყოფა-ცხოვრებას, ახალ ზნე-ჩვეულებებს; ქალისა, რომლის შრომის წილია ინდუსტრიის გიგანტებში, ბარაქიან ოქროსფერ ხოდაბუნებში, ახალ მეცნიერულ აღმოჩენებში.

სიხარულით ეგებებიან თავიანთ დღესასწაულს საბჭოთა ქალები — თავიანთი ბედის, თავიანთი სამშობლოს ნამდვილი ბატონ-პატრონები. ამ სიხარულს ისიც აძლიერებს, რომ წელს ქალთა საერთაშორისო დღე აღინიშნება უდიდესი აღმავლობის ვითარებაში, რაც გამოიწვია სკკპ XXIV ყრილობისათვის მზადებამ. ჩვენი სახელოვანი ქალები აქტიურად მონაწილეობენ საყოველთაო-სახალხო შეჯიბრებაში ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის ღირსეულად შეხვედრისათვის. მთელ თავიანთ მგზნებარებას, ნიჭსა და შთაგონებას ახმარენ ისინი კომუნისტური საზოგადოების აშენების დიად საქმეს, ბრძოლას მტკიცე მშვიდობისათვის, სამართლიანობისა და სოციალური პროგრესისათვის.

სამშობლო, პარტია ჯეროვნად აფასებენ თავიანთ სახელოვან შვილებს, ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა მშრომელი ქალი, დედა ყოველთვის გრძნობდეს ყურადღებას, სიყვარულს, ზრუნვას, ამის ახალი გამოვლინებაა სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტი, რომელშიც დასახულია საბჭოთა ქალების შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი.

ტრადიციით დედაქალაქის პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, საწარმოებისა და მოსკოვის ოლქის მინდვრების მოწინავენი, კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწენი შეიკრიბნენ 5 მარტს დიდ თეატრში, სადაც საზეიმო კრება გაიმართა.

მქუხარე ტაშით შეხვდნენ შეკრებილნი ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, გ. ი. ვორონოვს, ა. პ. კირილენკოს, ა. ნ. კოსიგინს, კ. ტ. მაზუროვს, ა. ი. პელშეს, ნ. ვ. პოდგორნის, დ. ს. პოლიანსკის, მ. ა. სუსლოვს, ა. ნ. შელეპინს, ი. ვ. ანდროპოვს, ვ. ვ. გრიშინს, პ. ნ. დემიჩევს, დ. თ. უსტინოვს, ი. ვ. კაპიტონოვს, კ. თ. კატუშევს, ბ. ნ. პონომარიოვს, მ. ს. სოლომენცევს.

საზეიმო კრება გახსნა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა რ. ფ. დემენტიევამ. მან წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმება საბჭოთა ქალებისადმი, რომელსაც დამსწრენი აღფრთოვანებით შეხვდნენ.

შეკრებილთა სახელით რ. ფ. დემენტიევამ დიდი მადლობა გადაიხადა მისალმების გულთბილი სიტყვებისათვის და პირობა მისცა პარტიას, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომ საბჭოთა ქალები მთელ თავიანთ ძალ-ღონეს მოახმარენ კომუნიზმის მშენებლობას.

პირველი სახლთსამშენებლო კომბინატის № 5 სამონტაჟო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირმა, რუსეთის სფსრ დამსახურებულმა მშენებელმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ვ. ე. კოპელევმა დედაქალაქის მუშების, ყველა მოსკოველი მამაკაცის სახელით გულითადად მიულოცა ქალებს დღესასწაული, უსურვა ჯანმრთელობა, მხნეობა, ახალი შრომითი წარმატებანი, დიდი პირადი ბედნიერება.

დღეს ყველა საბჭოთა ადამიანი ცხოვრობს ერთსულოვანი მისწრაფებით — ღირსეულად შეხვდნენ სკკპ XXIV ყრილობას, თქვა სოლნეჩნოგორსკის რაიონის ბრატცევოს მეფრინველეობის ფაბრიკის მუშამ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ა. ა. ანტიპოვამ.

საზეიმო კრების მონაწილეებს მიესალმა საბჭოთა ქალების კომიტეტის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის გმირი ვ. ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვა.

რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა პოეტმა ლ. კ. ტატიანიჩევამ აღნიშნა, რომ ქალები განსაკუთრებით გრძნობენ ყველა ცვლილებას ქვეყნის ცხოვრებაში. ალბათ ეს იმიტომ ხდება, თქვა მან, რომ ჩვენ დედები, ცოლები, მეგობრები ვართ.

დედაქალაქის კომკავშირელებისა და ახალგაზრდების სახელით შეკრებილთ გულითადად მიულოცა დღესასწაული მოსკოვის 537-ე სკოლის მასწავლებელმა ვ. ა. კოლიჩევამ.

გაისმის პიონერული საყვირისა და დოლის ხმა: დარბაზში შემოდიან ნორჩი ლენინელები. ისინი მოვიდნენ, რათა თავიანთ დედებსა და ბებიებს, მასწავლებლებსა და პიონერხელმძღვანელებს მიულოცონ ნათელი, სასიხარულო დღესასწაული.

საზეიმო კრების მონაწილეებმა დიდი აღმავლობით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი. (საქდესი).



**დიდება საბჭოთა ქალს!**

მხატვარი გ. იაშვილი.

**ნელი თარბა**

## ჩემი საჩუქარი

მშობლიურ სოხუმში დავქრივარ ამ დილით,  
ყოველ ვიტრინასთან ვდგები.  
საჩუქრის შერჩევა არ არის ადვილი,  
ნეტავ რა გიყიდო, დედი?  
დღეს ხომ შენი დღეა, მარტია, მარტია,  
იების სურნელით ვთვრები.  
ისეთი რა ვნახო ამ დილაადრიან,  
შენ რომ გაგახარო, დედი.  
არც სარკე პატარა, არც ჭრელი საკაბე,  
ვარდწყალი — ლამაზთა ბედი...  
მე ისეთ საჩუქარს არასდროს გაკადრებ,  
ისეც ლამაზი ხარ, დედი!  
წამოველ, ელვარე ვიტრინებს დავშორდი,  
ნუ იტყვი — არა მაქვს ბედი:  
ისეთს რას ვიპოვი, რითაც კი სამშობლომ  
არ დაგასაჩუქრა, დედი?  
ყვავილში ჩამჯდარა, კეკლუცობს ქალაქი,  
სალექსოდ გავხსენი მკერდი,  
და ამ ლექსს ყველაზე ძვირფასი დავარქვი,  
რადგან შენ გიძღვნი, დედი!

თარგმანი ნ. კილასონიასი.

# დიდი უკრაინელი პოეტის ხსოვნის აღსანიშნავად

## უკრაინის დელეგაცია თბილისში

გულითადად შეხვდა 6 მარტს საქართველოს დედაქალაქი უკრაინის წარმოგზავნილთ, რომლებიც ჩამოვიდნენ უკრაინელი ხალხის დიდი შვილის ლესია უკრაინკას დაბადების 100 წლისთავის ზეიმზე. თბილისში ჩამოვიდნენ სსრ კავშირის მწერალთა კავშირის მდივანი ლ. ნოვიჩენკო (დელეგაციის ხელმძღვანელი), ცნობილი უკრაინელი მწერლები ლ. დიმიტერკო, მ. ოლეინიკი, ვ. კოროტიჩი, ბ. ოლეინიკი, ო. ნოვიცკი, მხატვარი ა. ნიმენკო, კიევის საოპერო თეატრის სოლისტი, უკრაინის სახალხო არტისტი ტ. პონომარენკო, უკრაინის სსრ სახალხო არტისტი, კიევის ფილარმონიის სოლისტი დ. პეტრინენკო, უკრაინის დამსახურებული არტისტი ე. პირადოვა, ლესია უკრაინკას თანამემამულე — ლუცკის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის სტუდენტი ლ. ზაბიგაილო, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში მცხოვრებ ემიგრანტ-უკრაინელთა პროგრესული წრეების აქტიური მოღვაწენი — ცნობილი მწერალი, ლესია უკრაინკას დისწული ი. კოსაჩი, საზოგადო მოღვაწე მ. განუსიაკი და ჟურნალისტი მ. სკრიპნიკი, აგრეთვე კიევის დოკუმენტური ფილმების სტუდიის კინოოპერატორები.

თბილისის აეროპორტში ძვირფას სტუმრებს დახვდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი გ. აბაშიძე, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნები ს. ჩიქოვანი, ბ. ჟღენტი, ი. ნონეშვილი, მწერლები რ. მარგიანი, მ. მრევლიშვილი, ხ. ბერულავა, ა. შენგელია, ჯ. ჩარკვიანი, მ. ფოცხიშვილი, ნ. გურეშიძე, გ. გოგიჩაიშვილი, ლ. სულაბერიძე, გ. ციციშვილი.

ჩამოსვლის დღეს უკრაინის დელეგაციის წევრებმა გვირგვინით შეამკეს უკვდავი შოთას ძეგლი.

დელეგაციის წევრები ავიდნენ მთაწმინდაზე, სადაც განისვენებენ ქართული ლიტერატურის კლასიკოსები და გაზაფხულის ყვავილებით შეამკეს მათი საფლავები...

7 მარტს უკრაინელი სტუმრები წავლენ საგარეჯოში, დაათვალიერებენ საქართველოს სახალხო პოეტის გ. ლეონიძის სახლ-მუზეუმს, შეხვდებიან ახალგაზრდობას.

8 მარტს ხალხმრავალი მიტინგი გაიმართება სურამში. (საქდესი).

# სპორტულ საზოგადოებათა და მწვრთნელთა მთავარი ამოცანა




5 მარტს საქართველოს სსრ. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გ. ჯავახიშვილის თავმჯდომარეობით გაიმართა საქართველოს V სპარტაკიადის მოწყობისა და სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში მონაწილეობისათვის რესპუბლიკის სპორტული დელეგაციის მომზადების საორგანიზაციო კომიტეტის მორიგი სხდომა. საორგანიზაციო კომიტეტმა განიხილა ორი საკითხი: „რესპუბლიკის ნაკრები გუნდების წევრების, ნებაყოფლობით სპორტულ ორგანიზაციათა და უწყებათა სპორტსმენების მზადების მიმდინარეობის შესახებ" და „საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების, უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკური სკოლების სპორტსმენების სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში მონაწილეობისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ".

ინფორმაციები პირველ საკითხზე გააკეთეს: ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ცქიტიშვილმა, სპორტული საზოგადოების „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. დიდიძემ, ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების „განთიადის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბოჭორიძემ, ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ჟღენტმა, ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ა. კორინთელმა, ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების „ლოკომოტივის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ თ. კაჭახიძემ და ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ს. მეგრელიშვილმა.

მეორე საკითხზე საორგანიზაციო კომიტეტმა მოისმინა № 1 უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის ხელმძღვანელის ნ. დუმბაძის, № 2 სკოლის ხელმძღვანელის კ. გონაძის, თბილისის უმაღლესი სპორტული ოსტატობის საქალაქო სკოლის ხელმძღვანელის ვ. კიკნაძისა და რესპუბლიკის განათლების სამინისტროს უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის ხელმძღვანელის რ. შავლაყაძის ინფორმაციები.

ორატორებმა შეკრებილთა ყურადღება გაამახვილეს იმაზე, რომ ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, განსაკუთრებით მწვავე იქნება კონკურენცია. იმასთან დაკავშირებით, რომ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პროგრამიდან ამოღებულია სპორტის ორი ისეთი სახეობა, როგორიც არის ჭადრაკი და ჩოგბურთი, რომლებშიც ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები მუდამ წარმატებით ასპარეზობდნენ, მათ ნაცვლად კი შეტანილია ხელბურთი და მშვილდოსნობა, სპორტულ ორგანიზაციებს, მწვრთნელებსა და თვით სპორტსმენებს მოუხდებათ ძალ-ღონის მაქსიმალურად დაძაბვა.

საორგანიზაციო კომიტეტის სხდომაზე გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე გ. სიხარულიძე, რომელმაც მოაგონა დამსწრეთ, რომ საკმარისი იყო მცირე ხნითაც კი შეგვენელებინა მომთხოვნელობა სპორტსმენებისა და მწვრთნელებისადმი, რომ მაშინვე გაუარესდა შედეგები. ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებებისა და უწყებების ხელმძღვანელებმა სისტემატური კონტროლი უნდა დააწესონ სპორტსმენთა მიერ რეჟიმის დაცვისადმი, უფრო ხშირად უნდა დაესწრონ საწვრთნელ მეცადინეობებს. რესპუბლიკის დიდი ქალაქების ფიზკულტურულმა და სპორტულმა ორგანიზაციებმა, უმაღლესი სასწავლებლების ფიზიკური აღზრდის კათედრებმა და საწარმოო კოლექტივების სპორტულმა კლუბებმა უნდა გაშალონ ფართო საშეფო მუშაობა სოფლის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს შორის, გამოავლინონ პერსპექტიული სპორტსმენები სოფლად.

სხდომის შედეგები შეაჯამა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ გ. ჯავახიშვილმა.

განხილულ საკითხებზე საორგანიზაციო კომიტეტმა მიიღო შესაბამისი დადგენილებანი. (საქდესი).

# ქალი — ჩვენი ცხოვრების ბურჯი

**8 მარტი ქალთა საერთაშორისო დღეა**

**განვახორციელოთ ღონისძიებანი იმისათვის, რომ საბჭოთა ქალს — დედას შეექმნას შრომისა და ყოფაცხოვრების უკეთესი პირობები და მოზარდი თაობის აღზრდის პირობები.**

(სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტიდან).

## სამყაროს დედა

**ვიქტორია სირაძე,**
**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.**

ვისაც ამ ორმოცდაათი წლის წინათ უნახავს ჩვენი მიწა-წყალი, ახლა ვეღარ იცნობს მას. ხუთი ათეული წელია საქართველოს ახლებურად აშენებს, აშენებს საბჭოთა ადამიანის გონება, მადლიანი მარჯვენა. აი ახლა იგი იუბილარი გახდა.

საბჭოთა საქართველოს ნახევარსაუკუნოვანი იუბილესათვის მზადება, რომელიც ყველა უბანზე უმაგალითო წარმატებებით აღინიშნება, ერთხელ კიდევ ცხადყოფს ჩვენს რესპუბლიკაში სოციალისტური მშენებლობის ბრწყინვალე შედეგებს ეკონომიკის, კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში. ამ მძლავრ გარდაქმნებში დიდია როლი ჩვენი ქალებისა, რომლებსაც სწორედ საბჭოთა ხელისუფლებამ მოუტანა ჭეშმარიტი თავისუფლება, მათი ნიჭი და უნარი საზოგადოების სამსახურში ჩააყენა.

დიდმა ოქტომბერმა, მსოფლიოში პირველმა, ყველაზე სამართლიანად, ყველაზე ჰუმანურად, ყველაზე სრულად გადაჭრა „ქალთა საკითხი".

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველ წლებშივე ვ. ი. ლენინი წერდა: „ორ წელიწადში საბჭოთა ხელისუფლებამ ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყანაში ქალის განთავისუფლებისათვის, „ძლიერ" სქესთან მისი გათანასწორებისათვის იმდენი გააკეთა, რამდენიც 130 წლის განმავლობაში არ გაუკეთებიათ მთელი მსოფლიოს ყველა მოწინავე, განათლებულ „დემოკრატიულ რესპუბლიკებს".

ჩვენს ქვეყანაში არ არის სამეურნეო, კულტურული, სამეცნიერო, საზოგადოებრივი, სახელმწიფო ცხოვრების ისეთი სარბიელი, სადაც არ მოღვაწეობდნენ ჩვენი ქალები."

საქართველოს ქალებს, სხვა საბჭოთა ქალებთან ერთად, უდიდესი წვლილი შეაქვთ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მომუშავეთა შორის 42 პროცენტი ქალია. აქედან მრეწველობაში მუშაობს 40 პროცენტზე მეტი ქალი. საქართველოში 384 ქალი სოციალისტური შრომის გმირია. სახალხო მეურნეობაში მომუშავე სპეციალისტებს შორის უმაღლესი განათლების მქონე ქალები ნახევარზე მეტს შეადგენენ.

ათასობით ქართველი ქალი მუშაობს რესპუბლიკის საწარმოებში. მათ შეხვდებით ფაბრიკა-ქარხნების მთავარ ინჟინრებად, დირექტორებად, საამქროების, ცვლების და უბნების ოსტატებად. ბევრი მათგანი ჩინებულად ართმევს თავს ამ რთულ, პასუხსაგებ საქმეს. კარგახანია ელენე ჭეიშვილი ქობულეთის ჩაის ფაბრიკას განაგებს. აღნიშნული საწარმო მოწინავეა. სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს გეგმებს. მოწონებას იმსახურებს ტრესტ „საქჩაის" საგამოფენო სახლის — „ჩაის სახლის" დირექტორის თამარ გვანცელაძის მუშაობა. უნარიანად უძღვება ქუთაისის უალკოჰოლო სასმელების ქარხანას მისი დირექტორი ნანა ლევიძე. იგი წარმოების კარგი ორგანიზატორი და ახალგაზრდა კადრების ყურადღებიანი აღმზრდელია. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსის მოადგილე, ახალგაზრდა სპეციალისტი თამარ ლომიძე სამინისტროს კომუნისტებმა პარტბიუროს მდივნად აირჩიეს. ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს საწარმოო განყოფილების უფროსი თამარ გობეჩია წარმოების ნოვატორია, მას მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის წოდება. სამაგალითოა კოტონური წინდების ფაბრიკის დირექტორის შუშანა გოგისვანიძის, თბილისის საკონდიტრო ფაბრიკის დირექტორის ვიქტორია ებრალიძისა და სხვათა საქმიანობა.

განუზომელია ქალების როლი სოფლის მეურნეობაში. საკოლმეურნეო წყობილებამ გლეხი ქალი გაათავისუფლა საუკუნეობრივი მონობისაგან, გაუხსნა მას შრომისა და განათლების ფართო გზა. ქალი მნიშვნელოვანი ძალა გახდა სოფლად, სოფლის მეურნეობის მუშაკთა დიდ პროცენტს ისინი შეადგენენ. ქალები მუშაობენ მერგოლეურებად, ბრიგადირებად, მექანიზატორებად, ზოოტექნიკოსებად, აგრონომებად, სათავეში უდგანან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. ვინ არ იცნობს ჩაის კრეფის ისეთ ოსტატებს, როგორიც არიან — თამარ ყუფუნია, დარეჯან ტაკიძე, ლეილა მაღულარია, ტატიანა ტყებუჩავა, მერი ქარდავა, იზოლდა წოწონავა, ტატიანა ჩხაიძე, ნაზიბროლა ხასაია და მრავალი სხვა.

ჭეშმარიტად გრანდიოზულია ჩვენი მიღწევები სახალხო განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში. ამჟამად რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ჩაბმულ 150 ათას ქალს უმაღლესი და საშუალო განათლება აქვს. განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებენ ქალები ახალგაზრდა თაობის აღზრდისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში. სახალხო განათლების სისტემაში მომუშავე მასწავლებელთა 65 პროცენტზე მეტს ქალები შეადგენენ, მათ შორის მრავალი ქალი მუშაობს რაისაბჭოების აღმასკომების განათლების განყოფილებათა გამგეებად და სკოლების დირექტორებად. ასევე ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში მომუშავე ექიმთა რაოდენობის 65 პროცენტი ქალია.

ჩვენი რესპუბლიკა ამაყობს მეცნიერი ქალებით, რომელთა რიცხვი 7.733 უდრის. მათ შორის 89 მეცნიერებათა დოქტორია, 1.593 — მეცნიერებათა კანდიდატი. მეცნიერ ქალთა საერთო რიცხვიდან აკადემიკოსის, აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორის სამეცნიერო წოდება მინიჭებული აქვს 64 ქალს, დოცენტისა — 339-ს, უფროსი მეცნიერი მუშაკისა — 487-ს, უმცროსი მეცნიერი მუშაკისა და ასისტენტისა — 1.532 ქალს.

თავიანთი მოღვაწეობით მეცნიერების დარგში ქართველმა ქალებმა მსოფლიო აღიარება მოიპოვეს. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორები — ქეთევან ლომთათიძე, ქსენია სიხარულიძე, თინათინ შარაძენიძე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორები — ნინო ჯავახიშვილი, თამარ ღლონტი, სოფიო ბუაჩიძე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი ქსენია ბახტაძე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი თინათინ წერეთელი, პროფესორი რუსუდან ნიკოლაძე, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი ნინო თათრიშვილი და სხვები მამაკაცების მხარდამხარ აყენებენ და წყვეტენ მეცნიერების ახალ პრობლემებს, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საბჭოთა მეცნიერების საგანძურში.

რესპუბლიკა ცნობილია ლიტერატურისა და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწე ქალებით. ისინი იმსახურებიან ხალხის კომუნისტური აღზრდის საპატიო ამოცანებს. მრავალი ქალი მუშაობს რეჟისორად, მუსიკალური სკოლის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის დირექტორებად. საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში თავიანთი წვლილი შეაქვთ მწერალ, მხატვარ, მსახიობ, მუსიკოს ქალებს. ეს ჩვენი ქალებია, დიდებით რომ მოსავენ რესპუბლიკას, შორს, მის ფარგლებს გარეთ გააქვთ მისი სახელი. სად არ იცნობენ სსრ კავშირის სახალხო არტისტებს — ვერიკო ანჯაფარიძეს, ნინო რამიშვილს, რესპუბლიკის სახალხო არტისტებს — მედეა ამირანაშვილს, ლამარა ჭყონიას, მედეა ჯაფარიძეს, კინომსახიობს ლია ელიავას, მუსიკოს შემსრულებლებს ელისო ვირსალაძეს, ლიანა ისაკაძეს და სხვებს.

საყოველთაო სიყვარულით სარგებლობენ ჩვენი მწერალი და პოეტი ქალები — მარიკა ბარათაშვილი, ანა კალანდაძე, მაყვალა მრევლიშვილი, თინა დონჟაშვილი, მხატვრები — ელენე ახვლედიანი, ქეთევან მაღალაშვილი, ეკატერინე ბაღდავაძე, ნათელა იანქოშვილი, დინარა ნოდია, კომპოზიტორები მერი დავითაშვილი, დალი ჩხაიძე და სხვები.

ქალი დედა! რაოდენ სამაყოა ეს წოდება, უდედოდ არ არის ბავშვები — სამყაროს სილამაზე და ახალგაზრდობა, ქალია სიცოცხლის საწყისი და მისი მშვენება. არც ერთ ქვეყანაში არ ზრუნავენ დედისათვის ისე, როგორც ჩვენში. ქალებს შექმნილი აქვთ ყველა პირობა, რომ აღზარდონ კომუნისტური საზოგადოების ღირსეული ადამიანები. 1971 წლის იანვრისათვის 2.145 მრავალშვილიან დედას ჩვენს რესპუბლიკაში მინიჭებული აქვს „გმირი დედის" საპატიო წოდება, 195.753 ქალი კი „სახელოვანი დედის" ორდენებითა და „დედობის მედლით" არის დაჯილდოებული.

მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში ქალი არ სარგებლობს ისეთი ფართო და შეუზღუდავი პოლიტიკური უფლებებით, როგორითაც საბჭოთა კავშირში. ქალებს შექმნილი აქვთ შესანიშნავი პირობები სახელმწიფოს მართვაში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის. ჩვენი რესპუბლიკიდან 17 ქალი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია; საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 400 დეპუტატიდან 125, ანუ 32,2 პროცენტი, ქალია. რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების 48.750 დეპუტატიდან 22.091, ანუ 45,3 პროცენტი, აგრეთვე ქალია.

რესპუბლიკის მრავალი ქალი არჩეულია საქართველოს კომპარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნებად, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებად, მათ მოადგილეებად.

მრავალ ქალს უჭირავს რესპუბლიკის ხელმძღვანელი პოსტები და წარმატებით ართმევს თავს მასზე დაკისრებულ დიდ და საამაყო მოვალეობას. სახელმწიფოს მართვაში აქტიურად მონაწილეობენ: თამარ ლაშქარაშვილი — საქართველოს სსრ განათლების მინისტრი, ფატუშა დუმბაძე — საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი, ზინაიდა კვაჭაძე — უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი, ნათელა ვასაძე — საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი, ნინო ლაკია — პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, რუსუდან ჯაფარიძე — რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, მედეა მეზვრიშვილი — თელავის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, ევგენია დუდუჩავა — საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოადგილე, ელენე ჩოფიკაშვილი — სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის მოადგილე, თინათინ ქუთათელაძე — საქართველოს სსრ არქიტექტურისა და მშენებლობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ეთერ ღლონტი — ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე, ელენე მაჩაბელი — რესპუბლიკის სტატისტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილე, ლამარა ბოლქვაძე — აჭარის ასსრ კულტურის მინისტრი, ლუბა ნაზაძე — აფხაზეთის ასსრ საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე და სხვ.

გაზაფხულთან ერთად მოდის ქალთა სოლიდარობის დღესასწაული. წელს მას 61-ჯერ იდღესასწაულებენ მსოფლიოს ქალები.

ამჟამად საქართველოს ქალები, მამაკაცების მხარდამხარ, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში დაუშრეტელი ენერგიით განაგრძობენ შემოქმედებით შრომას, რათა ღირსეულად შეხვდნენ სკკპ XXIV ყრილობას, თავიანთი წვლილი შეიტანონ მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის — 1971 წლის დავალებათა წარმატებით შესრულებაში.

## მიხაკები ვალია გაგარინას

საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, რომელმაც აღნიშნა თანამგზავრი ხომალდით „ვოსტოკით" საბჭოთა ადამიანის მსოფლიოში პირველი წარმატებული კოსმოსური ფრენა და კოსმოსის ათვისებაში ახალი ერის დაწყება, დააჯილდოვა ბევრი მუშა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი. 6924 კაცმა მიიღო ორდენები და მედლები. ლენინის ორდენი გადაეცა ლაბორანტ ვალენტინა ივანეს ასულ გაგარინას-კოსმოსის გმირის ცოლს.

მთელი თავისი ხანმოკლე, მაგრამ ნათელი ცხოვრების მანძილზე იური გაგარინს უყვარდა ის, ვინც გახდა არა მარტო მისი ორი გოგონას დედა, არამედ მეგობარი, მრჩეველი, იმედი.

მათ ერთმანეთი გაიცნეს ორენბურგში, როცა იური სავიაციო სასწავლებელში სწავლობდა. ვალია გორიაჩოვამ ათწლედის დამთავრების შემდეგ ტელეგრაფში დაიწყო მუშაობა. შემდეგ სამედიცინო სასწავლებელში მოეწყო. „ყველაფერი მომწონდა მისი: ხასიათიც, მომცრო ტანიც, წყლიანი თაფლისფერი თვალებიც, ნაწნავებიც და პატარა, ოდნავ დაჭორფლილი ცხვირიც", — წერდა შემდეგ ი. ა. გაგარინი.

ისინი დიდი ოქტომბრის 40 წლისთავის დღეებში დაქორწინდნენ, და ჩრდილოეთში, სადაც პირველად იური გაგარინი მსახურობდა, და კოსმონავტთა რაზმში, გაგარინების ოჯახში მიდიოდა ყველა, ვისაც სჭირდებოდა სითბო, თანაგრძნობა, კეთილი სიტყვა. „ჩვენ ბედნიერები ვიყავით, ამბობდა ი. გაგარინი, — და გვინდოდა, რომ ჩვენი ბედნიერება გაგვეზიარებინა ყველასათვის".

იური ვარჯიშობდა, ემზადებოდა იდუმალებით მოცული სამყაროს გასაცნობად. ვალია მუშაობდა ლაბორატორიაში, ფუსფუსებდა ოჯახში. იური ზოგჯერ ამხანაგებთან ერთად შეირბენდა მასთან სამსახურში.

დადგა დღე, როცა გადაწყდა საკითხი, პირველი ვინ უნდა გაფრენილიყო კოსმოსში. არჩევანი გაგარინს ხვდა წილად.

იური გაეშურა შინისაკენ, რომ სიხარული გაეზიარებინა ცოლისათვის. როგორ შეხვდება ამ ახალ ამბავს? მათ ხომ ორი შვილი ჰყავთ, კოსმოსური ფრენის უშიშროების გარანტიას კი ხომ არავინ იძლევა, გაგარინი ასე იგონებდა ვალიასთან საუბარს:

— შინ ვალიამ მკითხა, რატომ ვიყავი ასე აღგზნებული და საერთოდ სად ვიკარგებოდი მთელი დღეები.

— კოსმოსში მივფრინავ... მომიმზადე საცვლები, — შევეცადე მეხუმრა.

— უკვე მოგიმზადე, — მიპასუხა ვალიამ, და მივხვდი, რომ მან ყველაფერი იცოდა.

ჩვენ დავაძინეთ გოგონები, ვივახშმეთ და დავიწყეთ სერიოზული საუბარი. რატომ მაინცდამაინც შენ? — მკითხა ვალიამ.

როგორც შემეძლო, ავუხსენი, რატომ ამირჩიეს სწორედ მე. ვალიას უცებ სახე სერიოზული გაუხდა, შემომხედა, ტუჩები აუტოკდა, ხმა შეეცვალა და მივხვდი, რომ იგი ამაყობს კიდეც ამით და ეშინია კიდეც და არც უნდა ამაღელვოს მე.

მთელ ღამეს თვალი არ მოგვიხუჭავს, ვსაუბრობდით, ვიგონებდით წარსულს, ვოცნებობდით მომავალზე. ვხედავდით უკვე გაზრდილ ქალიშვილებს, გათხოვილებს, ჩვენ შვილიშვილებს ვუვლიდით, და მთელი ცხოვრება ჩვენს თვალწინ გადიოდა უომოდ და უდავიდარაბოდ, ისე, როგორც წარმოგვედგინა იგი კომუნიზმში.

საუბრით რომ გული ვიჯერეთ, ვალიას ვკითხე, რას ფიქრობს ჩემს მომავალ გამოცდაზე, მან მიპასუხა ისე, როგორც უნდა ეპასუხა:

— თუ დარწმუნებული ხარ შენს თავში, გაბედე! ყველაფერი კარგად იქნება...

მთელი მსოფლიო შესძრა ცნობამ — კოსმოსშია საბჭოთა ადამიანი, კოსმოსშია იური გაგარინი. ვალია გაგარინას ყოველი წამი საუკუნედ ეჩვენებოდა. ძლივს იკავებდა მღელვარებას. მაგრამ სამაგიეროდ, როცა მოვიდა ამბავი, რომ იური მშვიდობით დაეშვა დედამიწაზე, სიხარულის ცრემლი წასკდა. ან რა საჭირო იყო ცრემლის შეკავება.

მერე დაწერენ, პირველი კოსმონავტის ცოლმა მამაცობა, სიმტკიცე გამოიჩინაო... ეს მართალია. მაგრამ წარმოიდგინოთ, როგორ ღელავდა ვალია, როცა იური კოსმოსში იყო.

მახსოვს გმირის საზეიმო შეხვედრა მოსკოვში, ვნუკოვოს აეროპორტში. როცა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს პატაკი ჩააბარა. იური მიუახლოვდა ცოლს, ნაზად მოჰხვია ხელი, მან კი ცრემლი შეიმშრალა და ჩუმად უთხრა: „აი აგვიხდა კიდეც ოცნება, იურა".

არაერთხელ ვყოფილვარ გაგარინებთან სახლში. ჩვენ ერთმანეთს ვხვდებოდით კრებებზე, მთავრობის დარბაზობებზე. და ყოველთვის ვგრძნობდი, რომ ვალია იურისათვის იყო კეთილი, ყურადღებიანი, გულისხმიერი მეგობარი. იურიც ასევე უპასუხებდა.

გაგარინის ახლო მეგობარი, პოლკოვნიკი ბ. ე. კოპიაკინი მიამბობდა, რომ ერთხელ ვალენტინა ავად გახდა, საავადმყოფოში იწვა და ძალიან ღელავდა, თავს გაართმევს თუ არა იური ოჯახის საქმესო, შინ ხომ გოგონები დარჩნენ.

1968 წლის მარტის ერთ დღეს ცოლთან საავადმყოფოში მიმავალმა გაგარინმა კოპიაკინთან შეიარა.

— ვალია შინ მომყავს, — თქვა მან. — იქნებ ცოტა გაერთოს, მერე კი ვნახოთ...

ეს იყო მეგობრების უკანასკნელი შეხვედრა, უკანასკნელი საუბარი. შემოდგომაზე პირველ კლასში წავიდა ყველაზე პატარა გაგარინა — გალია. მამამისი კი ვერ მოესწრო ამ დღეს. პირველ სექტემბერს იური ალექსის ძე ყოველთვის მიდიოდა „ვარსკვლავეთა ქალაქის" სკოლაში. ამჯერად კი არ მოსულა. ბავშვებს მიულოცა იურის მეგობარმა — ალექსი ლეონოვმა.

როცა სკოლაში პირველად წავიდა უფროსი ქალიშვილი — ლენა, მამამისზე ფილმი გადაიღეს. [illegible] ამ დღის საზეიმოდ, როცა პირველ კლასში მოხვედრით, „ამ[illegible]" ხოლმე იური გაგარინი. პირველკლასელ გალოჩკაზე კი, ვალენტინა ივანეს ასულის თხოვნით, ფილმი ვალერი ბიკოვსკიმ გადაიღო.

სასწავლო წლის დაწყების წინა საღამოს ვალენტინა ივანეს ასულმა ქალიშვილს უჩვენა „ვარსკვლავეთა ქალაქის" პირველკლასელებისათვის დაწერილი წიგნი.

— წაიკითხე. ეს მამაშენმა დაწერა, როცა შენ ჯერ წერა-კითხვა არ იცოდი. დაუწერა შენისთანა ბავშვებს...

და გალიამ დამარცვლით წაიკითხა: „ჩემო ძვირფასო მეგობარო! გილოცავ, აი უკვე სულ დიდი გახდი, აი უკვე მოსწავლე ხარ..."

გადის დრო. იზრდებიან, სწავლობენ ლენა და გალია. ვალენტინა ივანეს ასული მთელი გულით ისწრაფვის, რომ კეთილი და დიდი ბუნების, მტკიცე ნებისყოფისა და თავმდაბალი ადამიანები, მგზნებარე საბჭოთა პატრიოტები გაიზარდონ მისი ქალიშვილები, ისეთები იყვნენ, როგორიც იყო და ხალხის ხსოვნაში დარჩა მათი მამა.

...კრემლის ყრილობათა სასახლეში ზეიმით შეხვდნენ კოსმოსის ახალ გმირებს. აქვე იყო ვალენტინა ივანეს ასული გაგარინა. მარტო იყო, იური ალექსის-ძე აღარ ახლდა. მას ახარებდა მეგობრების წარმატება, ამაყობდა გაგარინის პლეადის კოსმონავტებით. მეგობრები კი გულითადად ესაუბრებოდნენ, ყველაფერში იგრძნობოდა მათი ზრუნვა და სიყვარული.

როცა გმირებს მიართვეს წითელი მიხაკების დიდი თაიგული, მაშინვე ვალიას გადასცეს იგი.

**ბ. ლუკიანოვი.**

**სკკპ XXIV ყრილობის დელეგატი**



## შრომა, სიხარული

წლის რომელი დროც უნდა იყოს, სოფელი გეგეჭკორი მუდამ ლამაზად გამოიყურება. ცადაზიდული მთები, კავკასიონის თეთრქუდა გოლიათები, ლურჯი ცა, ჩაის ხავერდოვანი პლანტაციები, ღამით ელექტროშუქით განათებული მიდამოები სასიამოვნო ელფერს აძლევენ ამ კუთხეს, რომლის მშრომელი ადამიანების საქმეები ფართოდ არის ცნობილი რაიონში...

ერთი ასეთი მკლავმოუღლელი კოლმეურნე კომუნისტი ძაბა ჯანჯღავა. პატარა გოგონა იყო ძაბა, როცა დაიწყო ჩაის პლანტაციაში მუშაობა. მას შემდეგ საკმაო დრო გავიდა, ძაბამ საშუალო სპეციალური განათლება მიიღო, ახლა უფრო ენერგიულად, საქმის ცოდნით უვლის ჩაის ბუჩქებს და მოსავალსაც უხვად ღებულობს. ის მუდამ იქ არის, სადაც მატერიალური დოვლათი იქმნება, დღენიადაგ პლანტაციებში ტრიალებს. ენერგიულმა ახალგაზრდა ქალმა შარშან დიდი გადამეტებით შეასრულა ჩაის კრეფის პირადი ხუთწლიანი გეგმა, მოსავლელად მიჩენილ 0,4 ჰექტარზე მიიღო 6.800 კილოგრამი მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, გეგმა კი 3.200 კილოგრამი ნედლეულის დამზადებას ითვალისწინებდა.

ძაბა ჯანჯღავა, რომელსაც კარგი ოჯახი აქვს შექმნილი და შვილებს სანიმუშოდ ზრდის, ეხმარება ახალგაზრდა მეჩაიეებსაც, მათ აჩვენებს იმის მაგალითს, თუ როგორ უნდა შრომა, ჩაის უხვი მოსავლის მოყვანა.

გაქედილის კოლმეურნეობა „ავანგარდში" მას ყველა პატივს სცემს. გეგეჭკორის რაიონის კომუნისტებმა თავიანთ კონფერენციაზე იგი აირჩიეს საქართველოს კპ XXIV ყრილობის დელეგატად. ძაბა ჯანჯღავა დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს საქართველოს კომუნისტების ყრილობის მიმდინარეობას, გულდასმით გაეცნო სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტს.

...და აი კიდევ ერთი განუზომელი სიხარული. საქართველოს კპ XXIV ყრილობაზე გეგეჭკორელი რიგითი მშრომელი ქალი, კომუნისტი მეჩაიე ერთსულოვნად იქნა არჩეული სკკპ XXIV ყრილობის დელეგატად.

ამ დიდი ნდობის პასუხად ძაბა ჯანჯღავამ პირობა დადო, რომ **მეცხრე ხუთწლედის პირველ წელს მოკრეფს 10.000 კილოგრამ ჩაის ფოთოლს ნაცვლად 3.200 კილოგრამისა.**

## ბეწვის ხიდზე — პატარებთან



რამდენიმე ხიდისთავია საქართველოში. არა მგონია ეს სახელი ისე შეეფერებოდეს რომელიმე მათგანს, როგორც ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავს. მდინარე გუბაზეულის ხეობაში, თმახუჭუჭა მთების ძირას, სწორედ ხიდის თავში არის იგი გაშენებული და, ეტყობა, სახელიც აქედან მიუღია.

საქართველოს ეს ლამაზი კუთხე განთქმულია რევოლუციური წარსულით, შრომითი ტრადიციებით, მაგრამ მისი მთავარი სიმდიდრე და სიამაყე მაინც გამრჯე ადამიანებია. ერთ-ერთი მათგანია საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი, საშუალო სკოლის დირექტორი ანიკო კალანდაძე. თავიდანვე მის ოცნებას — პედაგოგი გამხდარიყო, ოჯახური წრე და გარემო ასაზრდოებდა, პატარაობიდანვე გულითა და სულით შეიყვარა მან ეს პროფესია და კიდევაც მთელი სიცოცხლეც მიუძღვნა მას. იგი 28 წელია შეუცვლელად განაგებს ხიდისთავის საშუალო სკოლას და სწავლა-აღზრდის საამაყო სამსახურში გაჭაღარავდა.

თანასოფლელებს ა. კალანდაძე ახსოვთ სრულიად ახალგაზრდა — წიფნაგვარაში პაწია აღსაზრდელებთან რომ ფუსფუსებდა. შემდეგ უნივერსიტეტი დაამთავრა, მიაშურა მაღალმთიანი ზემო სურების სკოლას. იქ სასწავლო ნაწილის გამგე იყო. შემდეგ განათლების განყოფილების ინსპექტორი. იგი ყველგან თავდადებული აღმზრდელის სახელს იმსახურებდა.

ღრმა და ძნელად შესაცნობია ბავშვის სამყარო. ამიტომაც არის რთული და საინტერესო მასთან მუშაობა. მოდის ახალი ადამიანი თავისი ხასიათითა და ინტერესით, ითხოვს თავის ადგილს. როგორც მწერალმა თქვა: დაიბადა ადამიანი, პატივი ვცეთ მას. აუცილებელია თვითეულს ფრთხილად, ინდივიდუალურად მიუდგე, მისი ნიჭი და უნარი კარგისაკენ წარმართო, სასახელო მოქალაქედ აქციო... ეს იოლი საქმე როდია. ხშირად ეს პატარა პატივსაცემი ადამიანები ზღაპრის პერსონაჟებივით ფართო ნათელ გზაზე დგანან და მაინც ბეწვის ხიდისაკენ იყურებიან, აინტერესებთ იქ გავლა. ვინ იცის ანიკო მასწავლებელი ფარულად თუ აშკარად, რამდენჯერ გაჰყოლია ონავრებს ამ ბეწვის ხიდზე, ხელი შეუშველებია, განურიდებია დიდი თუ პატარა მარცხისაგან.

— აღზრდა ხანგრძლივი და რთული პროცესია, დიდი მნიშვნელობა აქვს ოჯახს, გარემოს. მცირე გადახვევა, პაწაწინა ცვლილებაც კი ბავშვის ცხოვრებაში უმიზეზოდ არ იწყება, უმნიშვნელო დეტალიც კი დამაფიქრებელია, იქნებ ეს გახდეს ბავშვის სულის დიდი კატასტროფის საწყისი, სამუდამო დარდად და ლაქად იქცეს, — გვესაუბრება პედაგოგი და გვიზიარებს ერთ ფაქტს, თუ ოჯახმა, საკუთარმა დედ-მამამ, როგორ აუწეწა ცხოვრება პატარა დ-ს. რამდენი დრო, ენერგია დაიხარჯა მისი სწორ გზაზე დასაყენებლად.

აღზრდის რთულ გზაზე ამ მცირე და თითქოს უმნიშვნელო დეტალს შესანიშნავად ხედავს და გრძნობს პედაგოგი. ამიტომ არის, რომ ყოველი ოჯახი, მშობელი ანიკო კალანდაძეს უშიშრად ანდობს ყველაზე ძვირფასს — ბავშვს, სწამთ და სჯერათ მისი დიდი გულისა, აღსაზრდელებისათვის რომ ცემს, მისგან იღებენ რჩევას, დარიგებას და არა მარტო აღზრდის საკითხებზე.

— ჩემი გოგონა ამ ბოლო დროს სულ გამოიცვალა, გულჩათხრობილი გახდა, მარტოობას მიეჩვია, ნიშნებიც არასასიამოვნო აქვს — მიმართა ერთხელ შეშფოთებულმა დედამ დირექტორს. გამოირკვა, რომ ქალიშვილს ფაქიზი ინტერესი გასჩენოდა — ლამაზი, პირველი სიყვარული... ანიკომ გაათრთხილა დედა, უხეშად არ ჩარეულიყო შვილის გრძნობებში. გოგონას ცალკე ელაპარაკა, დაარიგა, მოსწავლე დაეუფლა თავის თავს და კვლავ შესანიშნავად იწყო სწავლა.

ახლაც ახსოვთ ძნელად აღსაზრდელი გ. დ. იგი ნიჭიერი იყო, მაგრამ არ მეცადინეობდა, სკოლაშიც თავის ნებაზე დადიოდა. შემჩნეული იყო შეუფერებელ საქციელში, ყოყოჩობდა, ვატყობდით, რომ როგორღაც ამხანაგებზე გავლენა ჰქონდა, ცდილობდა წრე გაეფართოებინა, სურდა სხვებიც ჩაეთრია. ვინ იცის, იქნებ აღზრდაში დაშვებული პატარა შეცდომის შედეგად გახდა იგი ასეთი. ამ უნარიანი, ფიზიკურად საღი ბიჭის სწორ გზაზე დაყენება მთელი პედაგოგიური კოლექტივის წლების საზრუნავი გახდა. გადაწყვიტეს ყოველდღიური მეთვალყურეობა დაეწესებინათ მასზე, პედაგოგები, უმეტესად ამხანაგები სახლში აკითხავდნენ, მასთან მეცადინეობდნენ, ერთად ამზადებდნენ გაკვეთილებს, თითქმის ძალით ჩააბეს სასკოლო საზოგადოებრივ საქმიანობაში. შეიძლება ითქვას, საშუალება არ მისცეს ჩამოსცილებოდა სკოლას, და აი შეუმჩნევლად, ნელნელა შემობრუნდა იგი, შერცხვა, თვითონვე იწყო მეცადინეობა, მიიღო საშუალო განათლება, ჩინებული მოქალაქე და ოჯახის კარგი მეთაური დადგა. აბა ახლა კითხეთ რაოდენ მადლობელია აღმზრდელი პედაგოგების და ამხანაგებისა.

ცოტა ადრე ასეთი შემთხვევაც გვქონდა, იგონებს ანიკო მასწავლებელი. სკოლაში მივიღეთ ერთი ასაკგადაცილებული მოსწავლე. ჩანდა, თავიდან კარგი აღზრდა ჰქონდა მიღებული, მაგრამ შემდეგ ოჯახური ტრაგედიის გამო ცუდ წრეში, ხოლო იქიდან პატიმრობაში მოხვედრილიყო. იგი არ სწავლობდა, სრულიად გათიშული იყო ჩვენგან და თანაკლასელებისაგან. რა არ ვცადეთ, მაგრამ ვერაფერი მოვუხერხეთ. ერთხელ გაკვეთილზე დამჭირდა და მოვიყვანე ფრთიანი ფრაზა. განვმარტე, რომ ეს გამოთქმა ეკუთვნის ძვირფას ადამიანს, და დავასახელე აწ განსვენებული პროფესორის სახელი და გვარი, რომლის შვილი გახლდათ ეს ზრდადასრულებული, ძნელად აღსაზრდელი ჭაბუკი. შევხედე, თვალებში სიხარულის ნაპერწკლები შევნიშნე, გამოცოცხლებულიყო, თითქოს ბედნიერად გამოიყურებოდა, ვიგრძენი, რომ მისი ნდობა მოვიპოვე, თანდათან გამიხსნა გული, ხშირად ოჯახზე, მამაზე მელაპარაკებოდა, ცოტაც და ვეღარ ვცნობდით მას, დაიწყო მეცადინეობა, ბეჯითი, თავაზიანი გახდა, ღამეებს ათენებდა, სკოლა ოქროს მედლით დაამთავრა. დღეს იგი ცნობილი მეცნიერია.

აი ხანდახან ასე პატარა რამ არის საკმარისი, მაგრამ ყოველთვის ვერ ვაგნებთ მას! რაოდენ სასიხარულოა ასეთი გამარჯვება, განაგრძობს პედაგოგი, როცა სკოლაში, სოფელში კაი ყრმა იზრდება, ახალი ადამიანი ყალიბდება. ეს არის ჩვენი შრომის საზღაური, ამაგის დაფასება. პედაგოგმა ისიც იცის, რომ კაი ყრმის აღზრდას ხშირად ხელს უშლის უსაქმურობა, უმიზნოდ თავშეყრა, ხეტიალი. აღზრდის ეს დიდი ხარვეზი ზოგჯერ არც თუ პატარა უბედურებისა და უსიამოვნებების წყაროა. ამიტომ ებრძვის მას აღმზრდელი, რამდენჯერ განურიდებია ამისათვის მისი მოსწავლე თუ უკვე ზრდადასრულებული, რაღაცით გზაადაბნეული ადამიანი, დაუბრუნებია საზოგადოებისათვის.

ასეთი ფაქტებით სავსეა ა. კალანდაძის ცხოვრებისა და შრომის სახელოვანი გზა.

გავიდა ოქროს წლები, იმ გოგო-ბიჭებში, რომლებიც მან აღზარდა, ერთიც არ ყოფილა „მისი", მაგრამ იგი ერთისა თუ სამის ნაცვლად ათასების მეორე დედა გახდა, მათ მიუძღვნა ლამაზი სიცოცხლე. ამაზე მოგვითხრობენ მისი აღზრდილების საქმეები, წერილები, რომლებსაც ყოფილი მოსწავლეები, ახლა მეცნიერები, ექიმები, ინჟინრები, მწერლები უგზავნიან.

ამაგდარმა მასწავლებელმა უფლება მოიპოვა დაისვენოს, მაგრამ ძნელება ბავშვების დატოვება, დედები, როგორც ასეთები, პენსიაზე არ გადიან. მას ცხოვრებასთან, აღსაზრდელებთან სათუთად გაბმული სიმები აკავშირებს.

**ეთერ მამალაძე.**

## დახმარება მრავალშვილიან დედებს

**პარტია** და მთავრობა მუდამ ზრუნავდნენ და ზრუნავენ ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. სახელმწიფო დიდ დახმარებას უწევს პენსიონერებს, სამამულო ომის ინვალიდებს, მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს.

ასპინძის რაიონში 383 მრავალშვილიანი დედაა. მათ შორის 13 გმირი დედაა, რომლებსაც ეს საპატიო წოდება 10 და მეტი შვილის აღზრდისათვის მიენიჭათ. შუშანა და რიფსიმე შაშაბერიძეებს, ელენე ნემსაძეს, საბედა ბერიძეს, როზა მაწმიშვილს, დარიკო ზედგინიძეს, ანუსა ზედგინიძეს, მანია ინასარიძეს ნამდვილად შეუძლიათ იამაყონ იმით, რომ მათ თერთმეტ-თერთმეტი შვილი აღუზარდეს დედა-სამშობლოს. სახელმწიფო დიდი ყურადღებითა და მზრუნველობით ეკიდება მათ. მარტო შარშან 177 დედამ მიიღო ერთდროული დახმარება, ხოლო 382 ქალი ყოველთვიურ დახმარებას იღებს. 1970 წელს მათზე გაცემულმა თანხამ 30.011 მანეთი შეადგინა.

**ნ. ციცქარაძე.**



ცეილონის ქალები აქტიურად მონაწილეობენ თავიანთი ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამას წინათ ქალაქ რატნაპურში გაიმართა პროფკავშირთა საოლქო კონფერენცია. მის დელეგატებს შორის ბევრი იყო ქალი.

**სურათზე:** ქალთა ჯგუფი მიემართება მიტინგზე, რომელიც რატნაპურში კონფერენციის შემდეგ გაიმართა.

ფოტო ვ. შკალიაბინისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

## ციფრები მოწმობენ

● **ამერიკის შეერთებული შტატები.** პრეზიდენტის მიერ დანიშნულ ფედერალურ მოსამართლეთა მხოლოდ 1 პროცენტს შეადგენენ ქალები. ერთი პროცენტია აგრეთვე ინჟინერი ქალები, 3 პროცენტი — იურისტები, 7 პროცენტი — ექიმები.

● **გფრ.** 23 მილიონ მუშათა და მოსამსახურეთა საერთო რიცხვში ქალები მხოლოდ 34 პროცენტს შეადგენენ, — წერს ჟურნალი „შტერნი".

● **ინგლისი.** წარმოებაში დაკავებული 9 მილიონი ქალი ინგლისის მთელი სამუშაო ძალის მხოლოდ 34 პროცენტს შეადგენს, აუწყებს მკითხველებს გაზეთი „დეილი სკეტჩი".

● **თურქეთი.** მოსახლეობის გამოკვლევის ინსტიტუტის მონაცემებით, რომელიც გამოაქვეყნა „ენი გაზეტაში", თურქეთში საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე ქალები წერა-კითხვის მცოდნე მოსახლეობის მხოლოდ 1,1 პროცენტს შეადგენენ. სოფლად საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე ქალები საერთოდ არ არიან. ქალების 69,3 პროცენტი არასოდეს ყოფილა კინოში.

## საზღვარგარეთის ამბები

**ჰანოი,** 5 მარტი. (საკდესი). ჰანოიში გაიმართა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების სესია. სესიაზე განიხილეს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის წინააღმდეგ ვიეტნამელი ხალხის ბრძოლის გაძლიერებისა და სოციალიზმის მშენებლობის ამოცანები, აგრეთვე მიიღეს გადაწყვეტილებანი მთელ რიგ ორგანიზაციულ საკითხებზე.

მთავრობის პოლიტიკური მოხსენება გააკეთა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ფამ ვან დონგმა. ფამ ვან დონგმა გააკრიტიკა პრეზიდენტ ნიქსონის წერილი ამერიკის კონგრესისადმი ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის შესახებ.

**ვაშინგტონი,** 5. პრეზიდენტმა ნიქსონმა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ჩამოყალიბებულია „წინადადებანი" ქვეყანაში უმუშევრობის პრობლემის შესახებ.

პრეზიდენტმა საჭიროდაც კი არ ცნო დაეხატა ამერიკის შეერთებულ შტატებში უმუშევრობის ზოგადი სურათი, რომელმაც, როგორც ცნობილია, ახლა მოიცვა 5,4 მილიონი კაცი, ანუ მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობის 6 პროცენტი. ქვეყანაში ნამდვილად კატასტროფული მდგომარეობა შეიქმნა.

**ვაშინგტონი,** 6. აქ გამოქვეყნებული ოფიციალური მონაცემებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში თებერვალში 5,4 მილიონი უმუშევარი იყო. უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონე, ისე როგორც წინათ, აღნიშნულია ახალგაზრდებში — 16,7 პროცენტი.

**პრაღა,** 6. უკვე მსოფლიოს 30 ქვეყანამ განაცხადა, რომ მონაწილეობას მიიღებს ფართო მოხმარების საქონლის საერთაშორისო ბაზრობაში, რომელიც ტრადიციისამებრ აპრილის შუა რიცხვებში ქალაქ ბრნოში ეწყობა. ყოველწლიურად იზრდება ბაზრობის მონაწილეთა რიცხვი. წლეულს ბრნოში პირველად წარმოადგენენ თავიანთ ნაწარმს ბრაზილია, კოლუმბია, ლიბანი. საერთაშორისო ბაზრობის უდიდესი ექსპონენტები არიან, ისე როგორც წინათ, საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები.

**კოლომბო,** 6. როგორც ცეილონის რადიომაუწყებლობის კორპორაცია იუწყება, ცეილონის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე საბჭოთა გეოლოგების ჯგუფმა აღმოაჩინა ნავთობის საბადო.

ცეილონისათვის, აღნიშნულია ცნობაში, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ნავთობის სამრეწველო მოპოვებას, რითაც გათავისუფლდება ნავთობის პროდუქტების იმპორტისაგან.

## მამულების კონფისკაცია

**სანტიაგო.** 6 მარტი. (საკდესი). ჩილეს სოფლის მეურნეობის მინისტრმა ჟაკ ჩონჩოლმა გამოაცხადა, რომ მთავრობამ გადაწყვიტა მიმდინარე წლის მაისისათვის კონფისკაცია უყოს ათასამდე დიდ მამულს. ჟ. ჩონჩოლმა, რომელიც აქ პრეს-კონფერენციაზე გამოვიდა, თქვა, რომ აგრარული რეფორმის კანონით მარტო ბოლო ორ თვეში მოხდა 212 მამულის ექსპროპრიაცია.

## დიდი თოვლი რომში

**რომი,** 6. ამ დილას უჩვეულო სურათი წარმოუდგათ რომაელებს. ქალაქი თოვლს დაეფარა. თოვლის ფენა 20 სანტიმეტრს აღწევს. მსუბუქი ავტომობილების მოძრაობა შეჩერებულია, დიდი შეფერხებით დადიან ქალაქის ავტობუსები, დახურულია ფიუმიჩინოს საერთაშორისო აეროპორტი.

როგორც მეტეოროლოგები ამბობენ, უკანასკნელი 200 წლის მანძილზე რომში ასეთი თოვლი არ ყოფილა.

**მსოფლიო დღეს**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პოეტის უკვდავება

## უკრაინის დიდება

უკრაინკას სახელი ისევე კადაეჭდო მისი დიდი სამშობლოს ღირსებას, როგორც გურამიშვილისა — საქართველოს, ნეკრასოვისა — რუსეთს, პეტეფისა — უნგრეთს და ემინესკუსი — რუმინეთს. არის რაღაც საოცარი ისტორიული ტრანსმისიის მოქმედება სხვადასხვა ქვეყნის ამ ერთნაირად ფორმირებულ მოვლენაში.

ლესია უკრაინკას შემოქმედება ისევე ზრდიდა მის თანამემამულეებს, როგორც ქართველებს გურამიშვილისა და ბარათაშვილის, აკაკისა და ილიას ლექსები. ამიტომ რა უნდა იყოს გასაკვირველი, თუ თანამედროვე დიდი უკრაინელი მწერლების — მიკოლა ბაჟანისა და ოლექსანდრე კორნეიჩუკის ბრწყინვალე ქმნილებებში ვიგრძნოთ „ტყის სიმღერის“, „ქვის ბატონისა“ და „შემოდგომის ზღაპრის“ ავტორის პოეტური ნერვების თრთოლვაა?!

რაღაც საოცარი ძალით განასახიერა საკუთარ არსებაში ლესია უკრაინკამ თავისივე მშვენიერი სამშობლოს გმირული სული, განუზომელი ძალა, უსაზღვრო ლანდშაფტები და თვალუწვდენი ლაჟვარდები. უკრაინა და უკრაინკა ერის სინონიმებად იქცნენ, რომელთა დაშორება შეუძლებელია.

თავისი განუყრელი სამშობლოს — უკრაინის გარდა ლესია ცხოვრობდა ლამაზ ბულგარეთსა და მიმზიდველ ეგვიპტეში. იყო დანტეს იტალიასა და შილერის გერმანიაშიც. მაგრამ საშინელმა სენმა პოეტი მოიყვანა მითებითა და ლეგენდებით სავსე კავკასიის მთებთან, ხოლო ბინა საქართველოში დაუდო.

იქნებ სულით მგზნებარე ქალს ეჩვენებოდა, რომ ეგვიპტის პირამიდების პანორამებზე გაშლილი მცხუნვარება და როდოპების ძირებთან ბულგარეთის მზის თაკარება უფრო სუსტი იყო, ვიდრე კავკასიის მთაზე მიჯაჭვული პრომეთეს ცეცხლი, რასაც ასე განადიდებდა ბერძნული მითოლოგია?!

ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ...

იქნებ ყველა ერთად თავისივე მშვენიერი არსების პარალელად მიაჩნდა, როგორც ფერმკრთალი ეგვიპტური პაპირუსების სიდიადე, სპარტაკის გმირული სული და საქართველოს ყინულოვან მთათა გრეხილი?!

იქნებ...

მაგრამ აღარ არის საჭირო, რაკი ვიცით, რომ უკრაინკას შემოქმედებაში ყველაფერი იყო, რაც ეხებოდა პატრიოტულ გრძნობას, ადამიანის ამაღლებულ სულს, კაცობრიობის ბედნიერებისათვის ბრძოლას. მის გრძნეულ სიმღერებში ჩვენ გვესმის ტირტეოსის მებრძოლი, საომარი ლექსების ხმაური და გვიზიდავს არქილოქეს ლირიკული სინაზე. ეს ორი ფენომენი — ეპიკური და ლირიკული, მიწიური და ზეციური, მშვენიერი და ამაღლებული ისეთ ჰარმონიულ მთლიანობაშია წარმოდგენილი, როგორც უკრაინის ტყეები და ველები, დნეპრის ლაზათიანი მშვიდი დინება და ისტორიული ქარიშხლები მისსავე ნაპირებზე.

რა ბედნიერია ერი, როცა ხედავს, რომ შევჩენკო, ფრანკო, უკრაინკა — ეს სამი დიდი მწვერვალი მე-19 საუკუნის ლიტერატურისა სიმბოლურად განასახიერებს უკრაინას, რომლის უერთგულესი შვილებიც ისინი არიან. ამიტომ უკრაინელი ერთნაირი მოწიწებითა და სიყვარულით წარმოთქვამს თავისი მშობლიური ხალხის, თავისი მშობლიური კულტურის ამ დიდი დედაბოძების ახლობელ სახელს.

ყველა, ვინც უკრაინკას პიროვნებასა და შემოქმედებას ეცნობა, გაოცებული რჩება უჩვეულო კონტრასტით: ყმაწვილობიდანვე ავადმყოფი ქალი, ფიზიკურად სუსტი და გამხდარი, პოეზიაში გლადიატორის ძალით გვევლინება. ის გვაძლევს იმედს, უიმედოც კი იმედოვნებს, სიმართლისათვის ერთიან ლაშქრად დგომას გვასწავლის, სამშობლოს უხმობს ბრძოლისაკენ, ხატავს გაზაფხულის ზეიმს, უსიტყვო სიმღერებს თხზავს ყველაზე გასაგები სიტყვებით. მართლაც საოცრებაა: ლანდად ქცეულ მის ფერმკრთალ სხეულში, ქალურ სინაზესთან ერთად, ვაჟკაცური გმირული სული ბორგავს.

ამიტომ დამშვიდებით ვერ ვკითხულობთ მის ბევრ პოეტურ შედევრს. შეუძლებელია აუღელვებლად მივყვეთ სტრიქონებს ლექსებში: „Contra spem spero“, რომელშიც ავტორის ძირითადი კრედო ლაკონიურად არის გადმოცემული, „ჩემი გზა“, „როცა ვიღლები ჩვეულ ცხოვრებით“, სადაც ახალი თაობის მიერ შერეული მომავლის ხილვაა გამჟღავნებული, „იმღერე, ჩემო სიმღერავ“, „უძილო ღამე“, „ცრემლებით სავსე ვდგევარ შენს წინ, ო, უკრაინავ...“, „ო, საყვარელო სამშობლო მხარევ“... რომელი ერთი ჩამოვთვალოთ? მელოდიებიც უჩვეულოდ გვაღელვებენ, იქნება ეს „მშვიდი და ბნელი ღამე“, „თქვენ ამ სიმღერას ნუ იმღერებთ, რა საჭიროა“, „შევცქერი ცაზე ნათელ ვარსკვლავებს“ თუ სხვა, რომელიც გნებავთ.

რომანსებზეც იგივე შეიძლება ითქვას. არ მეგულება ლესია უკრაინკას არცერთი ნაწარმოები, რომელიც ამ მხრივ გამონაკლისი იყოს. თითქოს ჩვეულებრივი ლირიკული ლექსიც — „რატომ არ ძალმიძს ავფრინდე მწვერვალთ“, რომელიც ლერმონტოვის ძალით არის დაწერილი, ამ კატეგორიაში თავსდება. აღარაფერს ვამბობ „ხამსინის“ — სამუმის შესახებ. მართლაც საოცარია „საიდან ილევრის მარსელის ჰიმნი“, „მოდის ხალხი და დროშები მოაქვს“, მეტად პოპულარული „ნაგაეჩკა, ნაგაეჩკა!“ მაგრამ არ შემიძლია დიდი ვნებათაღელვის გარეშე წავიკითხო „ვინ მოგახსენათ, რომ მე სუსტი ვარ, რომ არ ვებრძოდე ჩემს უწყალო ხვედრს?“ ეს მართლაც ამაღლებული, ნამდვილად დიდი სულია.

ამ დიდი სულით დადიოდა ლესია უკრაინკა დედამიწაზე, ვიდრე ცოცხალი იყო! ამავე დიდი სულით დადის ახლა ლესია უკრაინკას შემოქმედება ცივილიზებულ მსოფლიოში, ყველგან, სადაც ადამიანი ცხოვრობს, ბედნიერია, თუ იტანჯება. პატიოსანი, მშრომელი, ნამდვილად კაცური კაცისათვის ლესია უკრაინკას შემოქმედებას ბედნიერება, სიხარული, თავისუფლების შუქი და მომავლის რწმენა მიაქვს...

უკრაინელ მწერალთაგან საქართველოსთან არავინ ისე ახლოს არ ყოფილა დაკავშირებული შევჩენკოდან მოყოლებული ოქტომბრის რევოლუციამდე, როგორც ეს სუსტი, გამხდარი ქალი, რომელსაც სიყვარულით სავსე გულთან ერთად დიდი ადამიანური კდემამოსილებაც ჰქონდა. ვამბობთ სურამი, საქართველო, მაგრამ უკრაინკამ არა მარტო საქართველოს ერთ ნაწილში — სურამში იცხოვრა, სადაც ტანჯვით მიიცვალა. ჩვენ ვიცით, რომ ის იყო თბილისში, ქუთაისში, თელავში, ახლო გაიცნო ქართველი ინტელიგენცია, მათ შორის დიდი კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი, საზოგადო მოღვაწე შიო ჩიტაძე, მწერალი და პედაგოგი სილოვან ხუნდაძე, ახალგაზრდა ლიტერატორი არისტო ჭუმბაძე...

რამდენი მოასწრო ცხოვრების 42 წლის მანძილზე, 1871-დან 1913 წლამდე ამ მშვენიერმა ქალმა, რომელმაც ხალხის გულში უქრობი ლამპარი აინთო. მისი შემოქმედებაც ხომ გენიოსის პოეტური ლამპარია!

ბევრი რამ გვაერთებს ჩვენ, ქართველებს, უკრაინის კულტურასთან, მის გამოჩენილ შვილებთან...

როცა სურამში ლესია უკრაინკას სახლ-მუზეუმს ვათვალიერებ, საოცარი გრძნობა მიპყრობს: მგონია ქართველი მწერლის მემორიალს ვხედავ. ლესიას ხომ თვითონვე უთქვამს: „მე რომ უკრაინელი არ ვიყო, ვისურვებდი ქართველი ვყოფილიყავი“.

მაგრამ ლესია უკრაინკა, გენიოსი ადამიანი, თავისი ერის გარდა, მთელ კაცობრიობას ეკუთვნის, როგორც შევჩენკო და ბარათაშვილი, პუშკინი და გურამიშვილი. ყოველი ერის დიდი შვილი კაცობრიობის საკუთრებაა. ლესია უკრაინკაც კაცობრიობის ამ დიდ შვილთა შორის დგას, როგორც ადამიანური შეგნებისა და მოვალეობის მაღალ რანგთა პოეტური მესიტყვე.

აკადემიკოსი
**გიორგი ჯიბლაძე.**



დე მოვკვდე, მაგრამ კვლავ გიზგიზებდეს
ჩემი ლექსების ხანძარი ქვეყნად.

ლესია უკრაინკა.

---

ლესია უკრაინკა

## გაფრინდი, ჩემო სიმღერავ...

დატყვევებული ჩემი ფიქრი კარგა ხანს დუმდა,
ვით გალიაში დამწყვდეული საბრალო ჩიტი,
დღეს კი მოწყენილ ჩემს სიმღერას გაფრენა უნდა,
რა ქნას, თუ ფრთებზე დაწოლია ნაღველი დიდი.

დრო მოგეახლა, გამოფხიზლდი, სიმღერავ ჩემო,
დაძლიე დარდი და მოწყენაც გადაივიწყე.
მინდა, გაშლილ ზღვას შენი ფრთების დაეცეს ჩრდილი
და მოისმინო, როგორ ავსებს ზღვაური სივრცეს.

სიმღერავ ჩემო, გადაიქეც წყალუხვ ნაკადად,
მან არც საზღვარი, და არც გზების გარჩევა იცის;
თოლიასავით თავისუფლად გასწი, გაქანდი,
წყლის შიში ნუ გაქვს, რა ჩაძირავს ტალღებში მზის სხივს?

მაშ, ინებივრე, როგორც ცაში ნებივრობს ქარი,
ქაფად ადუღდი, გაქანება გჩვეოდეს სწრაფი;
ქარს ექო არ აქვს მაგრამ მაინც საამო არი
ტალღის შხაპუნი, შრიალი და სივილი ქაფის.

1890 წ.

თარგმანი ა. შენგელიასი.

## არ მიღალატო, ოცნებავ!

არ მიღალატო, ოცნებაო! ვეწამე შენთვის,
მრავალ გატანჯულ დღეს და ღამეს, ზაფხულს და ზამთარს..
და აი ახლა უკანასკნელ იმედით შეგთხოვ:
ნუ ჩამიქრები, ჩირაღდანო უძილო თვალთა!

ნუ მიღალატებ, ოცნებაო! შენ ასე დიდხანს
ავსებდი ჩემს გულს, მოწყურებულს, შენი თასებით
რა ძალას ძალუძს ჩვენი გაყრა, გკითხავ და მითხარ,
თვითონ სიკვდილიც ვერ აშინებს ამ გულს დასერილს.

სხვა ოცნებებზე უარი ვთქვი დიდი ხნის წინათ
შენი გულისთვის. განა მსუბუქ ოცნების ფრთა ვარ, —
ჩამოჰკრა ჟამმა, — სულს ვიჯანყებ, სიცოცხლეს გწირავ,
არ გადავუხვევ მე იმ გზიდან, რომელზეც ვდგავარ.

დე განსხეულდეს, დაფრთიანდეს ოცნება ჩემი,
ხორცი შეისხას სიტყვამ, როგორც ცოცხალ ბუნებამ.
ვინც ზღვა გაცურა და ზურგს უკან დახანძრა გემი, —
ახალ სიკეთით უწერია შინ დაბრუნება.

როგორც არწივი, თავს დამქროდი, ოცნებავ, წინათ,
შენი ფრთა მომეც — მეც ვიქროლო მეშვიდე ცაზე,
ვისუნთქო შენი გაზაფხულით, ცეცხლით და წვიმით,
და თუ დაღუპვა მიწერია, დე, მოხდეს ასე!

1905 წ.

თარგმანი თ. ჯანგულაშვილისა.

---

# დიდებული ლესია

რაც უფრო მეტად ეცნობი მის შემოქმედებას, მით უფრო მეტი მოკრძალებით ეპყრობი, გრძნობ — მასზე იოლად ლაპარაკი და მით უფრო იოლად წერა არ შეიძლება. იგი ქალად დაიბადა, მაგრამ ქალობა არასოდეს არ ყოფილა მისთვის, მისი შემოქმედებისათვის შეღავათი. იგი უკრაინაში დაიბადა, მაგრამ სადაც არ უნდა ახელოდა თვალი, ასეთივე სათაყვანო იქნებოდა. ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზე დაიბადა მეორედ — შემოქმედებითად, მაგრამ მომდევნო საუკუნეებსაც თამამად შეეძლოთ ემაყათ მისით, მისი სიახლით, დიდი პოეტური სუნთქვით, ერუდიციით, გემოვნებით, ფორმის ძიებით, გამარჯვებით.

წყნარი თვალები და ჭიუტი შუბლი აერთიანებდა მასში სინატიფესა და შემართებას. ორმოცი წელს ძლივს გადააბიჯა და სანანებლად დაუტოვა ლიტერატურისმცოდნეებს — რამდენი სათქმელი წაჰყვაო! მაინც მოასწრო და უზარმაზარი მემკვიდრეობა დატოვა. ვინ იცის, დიდხანს რომ დასცლოდა, იგივე ეთქვა, ოღონდ გამოზოგვით, ნება-ნებისად. მძიმე სენით ატანილს კი ეჩქარებოდა, ესწრაფოდა. საერთოდ, მის სენზე ხშირად ლაპარაკობენ, მაგრამ აღნიშნავენ და ხაზგასმითაც აღნიშნავენ, რომ ეს დიდი ქალი დიდი სიკერპითა და სიჯიუტითაც გამოირჩეოდა: მე შემიძლია ვიცოცხლო ყველა ექიმთა ჯიბრზე, მე ხომ ასეთი გაუტეხელი ვარო, — თვითონვე წერდა საქართველოდან მეგობრებს. იმავე ბარათში შემზარავი სიმშვიდით ითვლის, რამდენი წელიწადი დარჩა სიცოცხლისა, რამდენჯერ კიდევ შეიძლება შეხვდეს ახლობლებს. დიდებული ლესია!..

მისი ბიოგრაფია მოვლენებით არ არის მდიდარი: დაიბადა. იქორწინა. ავადმყოფობდა. და სამოგზაუროდ კი არა — სამკურნალოდ მოიარა ყირიმი, ეგვიპტე, გერმანია, კავკასია.

მაგრამ სული ჰქონდა მდიდარი, ფანტაზია ჰქონდა მდიდარი, ის ფანტაზია, მყარად არსებული რეალური სამყაროს, შეხედულებების, პროგრესული მრწამსის გამოსათქმელად რომ დასჭირდა.

ქალიშვილი, რომელიც ღამით ჩუმად გადიოდა მთვარიან ტყეში, მისი სულისა და ჩურჩულის გასაგონად, — ეს ქალიშვილი სიმბოლისტად არასოდეს არ ქცეულა. იგი ცეცხლით კამათობდა ლიტერატურულ წრეებში, იცავდა რეალიზმს ვულგარიზაციისგან და ამტკიცებდა: ლიტერატურაში მთავარია პორტრეტი და არა ფოტოგრაფიაო, რომ ლიტერატურა „გამონაგონის“ გარეშე არ არსებობს, და რომ ჭეშმარიტი რეალიზმი ის არის მხოლოდ, რაიც მკითხველის თვალწინ აღანთებს გამომსახველ სურათსო.

მას შემდეგ, რაც მის მდიდარ პირად წერილებს გავეცანი, თითქოს უფრო თვალნათლივი და ხელშესახები, ვიტყოდი, უფრო ახლობელი გახდა ეს შესანიშნავი ქალი ჩემთვის. მარტო ეს ბარათებიც რომ დარჩენოდა, ამითაც იქნებოდა დიდი პოეტი. ეს როდია ჩვეულებრივი მოკითხვის წიგნები. ეს არის დუღილი აზრის, შფოთვა სულის, შეჯახებანი, რჩევანი, შეკითხვანი, ეს ტრიბუნა, ასპარეზია. რომელ ერთს მოვავლო ხელი, რომელს მივანიჭო უპირატესობა?

„მე იმ ადამიანებს ვეკუთვნი, ღრუბლის ერთი ნაფლეთის დანახვისას რომ ეჩვენებათ მზე ჩაქრაო. პაწაწა სხივის შემჩნევისას კი ფიქრობენ — მზე თავად ჩვენს სულებში ცოცხლობსო...“

განა სხვანაირად შეიძლებოდა? და მაინც როგორ გავიხარე, როცა მისი საკუთარი პირით შევიტყე — რა მტკივნეული, რა ბედნიერი ავადმყოფობით იყო შეპყრობილი თურმე „ტყის სიმღერის“ წერისას! „ტყის სიმღერა“ შემდეგში ისე განვიცადე, რომ შემეშინდა ზამთრის ისტორია არ განმეორებულიყო... დაე ნურავინ იტყვის, რომ მე „დაუფერფლავად, უმტკივნეულოდ“ ვშოულობ „დაფნებს“. მე ხომ ყოველთვის ასე ვიწვი და ვავადდები. და კიდევ, თითქოს განგებო, შევუდგები თუ არა ოდნავ შედარებით მშვიდ სამუშაოს, მაშინვე „თავს დამეცემა“ დაუძლეველი დესპოტური ოცნება, მაწამებს ღამღამობით, სისხლსა მწოვს. ღმერთმანი ხანდახან მეშინია კიდეც, ეს რა აკვიატებაა?..“ ეს თხელი ქალი ასეთი ძრწოლვით აღიქვამდა თურმე ზოგჯერ საკუთარი შთაგონების მოზღვავებას. განა ყველა დაფნამოპოვებულს შეუძლია იამაყოს ამ ძრწოლვით?

და ისევ „ტყის სიმღერა“, — გაორებული ფიქრი, ღირს თუ არა სცენაზე ამ დრამა-ფეერიის დადგმა. სცენა ალბათ ცვლილებებს მოითხოვს. მაგრამ ცვლილებასაც აქვს თავისი საზღვარი, ამ საზღვარს კი, ლესიას გამოთქმა რომ ვიხმაროთ, — სცენური „რეტუშორები“ ხშირად გადადიან. „დიახ მე მინდოდა მეხილა იგი სცენაზე, მაგრამ მეშინია“, — „ჩავარდნისა“ კი არა, ოცნებების ბუტაფორიად ქცევისა მეშინია... ეს ხომ ავტორთა მარადიული ტრაგედიაა!“

და ისევ ფიქრი, ფიქრი. დაუკმაყოფილებლობისა და პასუხისმგებლობის კეთილშობილი გრძნობა. მე თავში რამდენიმე თემა მიტრიალებსო, — წერს პოეტი ქალი მეგობარ პროფესორს. და მაინც არაფერს ვწერ მხოლოდ და მხოლოდ ჩემი „გაუნათლებლობის“ გამოო. აქ ლაპარაკია უკრაინის პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების წარსულზე. „მითხარით ღვთის გულისათვის, სად ვიშოვნო პირველწყაროები?“ და იქვე: „განა შეიძლება ამდენხანს გავძლო? თანაც ჩემს ასაკში, ჩემი ჯანმრთელობით? თუმცა ადამიანები მე მაქებენ, ლაპარაკობენ „ზენიტზე“, მაგრამ რაც არ უნდა ლამაზად ენთოს მზე, ის ბოლოს მაინც უნდა ჩავიდეს“.

და იქვე, ერთი ჰწკარის შემდეგ: „ესეც შენი ტრაგიკომედია — ხელს ვკიდებ მსოფლიო თემებს და ანი და ბანი არ ვიცი: — როგორ გამოითქმის ესპანურად დოლოორეს თუ დოლორეს?...“ ქალი, რომელიც რამდენიმე ენას ბრწყინვალედ ფლობდა, სიცოცხლის ბოლო ხანს ესპანურის უცოდინარობას აყვედრიდა თავს!

ამ საოცარ, ბობოქარ, ჯადოქარ სულს ბოლო ბარათი, ბოლო აკორდი, სწორედაც რომ ბოლო მწვერვალზე აჰყავს: გაუმარჯოს სიცოცხლეს! — იძახის ლოგინად ჩავარდნილი. „მერედა რაო, მწოლიარეებსაც დაჰნათით მზე და დაჰყურებენ ვარსკვლავები...“

და კიდევ ამონაწერი ერთი ადრინდელი ბარათიდან, როგორც მრწამსი, როგორც დასტური მისი აზრიანი ცხოვრებისა:

„მრწამს ერთი სული, ის ვისაც უმღეროდა ჰაინე თავის „მთის იდილიაში“ და ვისაც ემსახურებოდნენ ყველა ნათელი ადამიანური სულები. ვინც შექმნა კაცობრიობის ხელოვნების უდიადესი ნაწარმოებნი რჩეულთა შრომის წყალობით“.

რჩეული ლესია!

**ნაზი კილასონია.**

---

# საქართველო — შთაგონების წყარო

უკრაინული ლიტერატურის მშვენება, მშობლიური ქვეყნის დიდი მომამაგე და მშრომელთა ინტერესებისათვის თავდადებული მებრძოლი ლესია უკრაინკა თავისი ღრმა ფილოსოფიური და მაღალემოციური პოეტური შედევრებით სიცოცხლეშივე გასცდა სამშობლოს საზღვრებს და ყველა ცივილიზებული ქვეყნის საყვარელ მგოსნად იქცა. მისი პოეტური ქმნილებები მკითხველთა საყოველთაო აღფრთოვანებას იწვევენ. ლესია უკრაინკას ყველგან დიდძალი პატივისმცემელი ჰყავს, მაგრამ ის განსაკუთრებით პოპულარულია საქართველოში. ეს კი ხავსებით ბუნებრივია, რადგანაც ამ საოცარი ნიჭის მქონე უკრაინელმა პოეტმა ქალმა თავისი ისედაც ხანმოკლე სიცოცხლის უკანასკნელი ათი წელი თითქმის მთლიანად საქართველოში გაატარა. საქართველო იქცა მის მეორე სამშობლოდ. საქართველოს რევოლუციური სინამდვილის შთაგონებით ლესია უკრაინკას არა ერთი ბრწყინვალე პოეტური თხზულება შეუქმნია...

1898 წელს საქვეყნოდ აღიარებული ივანე ფრანკო აღფრთოვანებით წერდა თავის უმცროს სახელოვან თანამოკალმეზე: „შევჩენკოს მოწოდების შემდეგ — „მაშ, წამოდექით, დამმარხეთ, იწყვეთ ბორკილის მსხვრევა“ — უკრაინას არა სმენია ესოდენ მძლავრი მგზნებარე და პოეტური სიტყვა, როგორიც* არის სიტყვა ამ სუსტი, ავადმყოფი ქალისა...“

მართლაც რომ საოცარია ლესია უკრაინკას პოეტური სტრიქონების საბრძოლო პათოსი, მისი მეამბოხე სული.

ლესია უკრაინკას შემოქმედებითმა ფანტაზიამ განსაკუთრებით 1905-1907 წლების რევოლუციის დროს გაშალა ფრთები. ცხოვრობდა რა ამ წლებში ჯერ თბილისში, შემდეგ კიევსა და პეტერბურგში, ლესია უკრაინკა ყურადღებით ადევნებდა თვალს თუ რა ხდებოდა რევოლუციური ტალღებით მოცულ რუსეთის იმპერიაში, ყოველთვის იყო საქმის კურსში და რითაც შეეძლო ეხმარებოდა აჯანყებულებს. დამახასიათებელია ლესია უკრაინკას წერილი დედისადმი, გაგზავნილი 1905 წლის 6 თებერვალს თბილისიდან. ამ წერილში პოეტი, თბილისის მუშებისა და რადიკალურად განწყობილი ინტელიგენციის რევოლუციურ გამოსვლებს რომ აღწერდა, საგანგებოდ მიაპყრობდა ადრესატის ყურადღებას იმ საშინელ ბარბაროსობაზე, რომელსაც ცარიზმის სატრაპები საქართველოში და, კერძოდ, თბილისში სჩადიოდნენ...

თბილისში ლესია უკრაინკა ჩამოვიდა 1903 წლის სექტემბერში და ცხოვრობდა 1905 წლის მაისის ბოლომდე. როგორც მისი წერილებიდან ჩანს, პოეტი მაშინვე გატაცებით ჩაბმულა საქართველოს დედაქალაქის ცხოვრებაში, ყურადღებით მოკიდებია მისი ისტორიული და ღირსშესანიშნავი ადგილების შესწავლას. თბილისში ლესია უკრაინკას პირველი მეგზური იყო არაბისტი პროფესორი, პოეტი და მთარგმნელი, აღმოსავლური კულტურის შესანიშნავი მცოდნე ა. ე. კრიმსკი. ლესია უკრაინკა თბილისიდან ნათესავებსა და მეგობრებს ხშირად უგზავნიდა წერილებს, სადაც გამოთქვამდა აღფრთოვანებას ნანახითა და გაგონილით.

თუ რამდენად ახლო იყო ლესია უკრაინკა მოწინავე ქართველ საზოგადოებასთან, ეს აშკარად ჩანს მისივე წერილებიდან. ლესია უკრაინკა თბილისში აგრძელებს მეგობრობას შიო ჩიტაძის ოჯახთან, რაც დაიწყო ამ უკანასკნელის კიევში ცხოვრების დროს, უახლოვდება ზაქარია ფალიაშვილს და მის წრეს, კარგად იცოდა თუ რა ხდებოდა თბილისის კულტურულ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში.

რევოლუციური სინამდვილის ზეგავლენით საქართველოში მან გადასინჯა თავისი ადრინდელი შეხედულება ხელოვნებაზე.

ლესია უკრაინკას თბილისის პერიოდის შემოქმედების ზენიტს პიესა „შემოდგომის ზღაპარი“ წარმოადგენს. ამ პიესიდან აშკარად ჩანს, თუ რა ღრმა კვალი დატოვა მწერლის შემეცნებ ა 1905 წლის რევოლუციის ამბებმა თბილისში. პიესა „შემოდგომის ზღაპარი“ ბრწყინვალედ ადასტურებს ლესია უკრაინკას პოლიტიკურ შეხედულებათა სიმტკიცეს.

თბილისიდან ლესია უკრაინკა კიევში ბრუნდება, როგორც ჩანს, პოეტს კიევის ჰავა არ უხდებოდა, მაგრამ მატერიალური ხელმოკლეობა არ აძლევდა მას საშუალებას საზღვარგარეთ გამგზავრებულიყო სამკურნალოდ. მიუხედავად მძიმე ფიზიკური მდგომარეობისა, ლესია უკრაინკა განაგრძობს ნაყოფიერ ლიტერატურულ და საზოგადო მოღვაწეობას. მან კიევში შექმნა რევოლუციური სინამდვილის ამსახველი ბრწყინვალე პოეტური შედევრები „ოცნებავ, ნუ მიღალატებ“, „კატაკომბებში“, „სიმღერები თავისუფლებაზე“ და სხვ.

ლესია უკრაინკა არც რეაქციის მძიმე ჟამს შეუშინებია. ეს წლები მან კვლავ საქართველოში გაატარა. 1908 წლის დეკემბერში ლესია უკრაინკა და მისი მეუღლე კ. კვიტკა თბილისში ჩამოდიან. ერთხანს აქ დარჩნენ, ხოლო 1909 წლის იანვრის ბოლო რიცხვებში კი თელავში გაემგზავრნენ, სადაც პოეტის მეუღლე მოსამართლის თანაშემწედ იყო დანიშნული.

თელავის პერიოდის ლესია უკრაინკას ცხოვრება აღინიშნება ნაყოფიერი შემოქმედებითი შრომითაც. თუმცა მისი ჯანმრთელობა დღითიდღე უარესდებოდა და ლიტერატურული მოღვაწეობა ძვირად უჯდებოდა მგოსანს, მაგრამ მას კალამი ხელიდან არ გაუგდია.

ლესია უკრაინკა თელავში აგრძელებს მუშაობას ადრე დაწყებულ მხატვრულ ტილოებზე. მან იქ დაამთავრა, უფრო ზუსტად საბოლოო სარედაქტორო სამუშაოები ჩაატარა და დასაბეჭდად მოამზადა თავისი ყველაზე დიდტანიანი დრამატული ნაწარმოები „რუფინი და პრისცილა“. თელავში შექმნა ლესია უკრაინკამ დრამატული ეტიუდი „იოჰანა, ხუსის ცოლი“, რომელშიც გამოკვეთილად გვიჩვენა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ქრისტიანული რელიგიის დოქტრინებისადმი. ამ დრამატულ ტილოში თავისი ასახვა ჰპოვა ავტორის მიერ საქართველოში მიღებულმა შთაბეჭდილებებმა, განსაკუთრებით კი აშკარად იგრძნობა კავკასიაში ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკის გამრყვნელი შედეგების გამოძახილი. თელავშივე დაწერა ლესია უკრაინკამ დრამატული პოემა „სისხლი ველზე“.

ლესია უკრაინკას ყურადღებიდან არ გამორჩენია დეკადენტების უღიმღამო საქმიანობა, რომელიც განსაკუთრებით გამოცოცხლდა რეაქციის წლებში. მაშინ როდესაც საზოგადოებას სჭირდებოდა მამხნევებელი, მებრძოლი სულის პოეზია, დეკადენტებმა იწყეს სპეკულაცია და მკითხველებს სთავაზობდნენ უსიუჟეტო, უშინაარსო ლექსებს. ამ თემაზე დაწერილ სხვა ქმნილებათა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ლესია უკრაინკას მიერ თელავში შექმნილი „მუზის ახირება“. მხოლოდ უკომპრომისო ბრძოლას ხალხთა ინტერესების დასაცავად, ლესია უკრაინკას ღრმა რწმენით, შეეძლო ესაზრდოებინა ყოველი შემოქმედის ფანტაზია. 1909 წლის ნოემბერში პოეტი იძულებულია სამკურნალოდ ეგვიპტეში გაემგზავროს, საიდანაც 1910 წლის ივლისში ბრუნდება.

ეგვიპტიდან დაბრუნების შემდეგ ლესია უკრაინკას მეუღლე კ. კვიტკა ქუთაისში გადაჰყავთ სამუშაოდ და პოეტიც დასავლეთ საქართველოში გადადის საცხოვრებლად. ქუთაისის ჰაერი და თვითონ ქალაქი მოსწონდა პოეტს. ქუთაისი მან მუდმივ საცხოვრებელ ადგილად აირჩია. ქუთაისში ცხოვრების პერიოდი პოეტის შემოქმედების შემდგომი აღმავლობით აღინიშნება. აქ დაწერა მან თავისი გენიალური ქმნილება „ტყის სიმღერა“. აქ შექმნა პოეტმა სხვა ნაწარმოებებიც.

ქუთაისში უკრაინელი პოეტი დაუახლოვდა მოწინავე ქართველ ინტელიგენციას. განსაკუთრებით ახლო ურთიერთობას ამყარებს პოეტი გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწისა და მწერლის სილოვან ხუნდაძის ოჯახთან. პოეტის ოჯახმა ვერ მოასწრო ქუთაისში დამკვიდრება, რომ კ. კვიტკა გადაჰყავთ ხონში (წულუკიძე). ლესია უკრაინკას არ უნდოდა ხონში წასვლა, მაგრამ, როგორც ირკვევა მისი 1911 წლის 15 სექტემბრის წერილიდან, პოეტი უკვე ჩასულა ამ ქალაქში საცხოვრებლად და კიდევაც მოსწონებია იგი. ხონი და მისი მიდამოები უკრაინელ პოეტს მშობლიური ქვეყნის სოფლებსა და ქალაქებს მოაგონებდა. ლესია უკრაინკას ფიზიკური მდგომარეობა ხონში რამდენადმე გაუმჯობესდა და ის იწყებს ნაყოფიერ შემოქმედებით ცხოვრებას. აქ მან დაწერა თვალსაჩინო დრამატული პოემა „ადვოკატი მარტიანი“. ლესია უკრაინკა იმდენად ეჩვევა ხონში შექმნილ პირობებს, რომ აქედან წასვლაც კი არ უნდოდა, მაგრამ სულ რაღაც 3-4 თვის შემდეგ კ. კვიტკას კვლავ აბრუნებენ ქუთაისში, ძველ სამუშაოზე. 1912 წლის ზამთარსა და ზაფხულში ლესია უკრაინკა ქუთაისშია. ხოლო ოქტომბრის ბოლო რიცხვებისათვის მისი მდგომარეობა იმდენად გაუარესდა, რომ პოეტი იძულებულია კვლავ ეგვიპტეში გაემგზავროს სამკურნალოდ. სამშობლოში ის 1913 წლის აპრილის ბოლოს დაბრუნდა. იგი მოკლე ხნით კიევში, ხოლო მაისში ისევ ქუთაისს დაუბრუნდა. მისი მდგომარეობა დღითიდღე სავალალო ხდებოდა, ტუბერკულოზი გადავიდა თირკმლებზე, ახლოვდებოდა აღსასრული, მძიმე იყო მისი მატერიალური მდგომარეობაც, მაგრამ პოეტი ქალი არ კარგავდა იმედს, არ წუწუნებდა და მწვავე ტკივილებს გმირულად იტანდა.

თავისებური და ორიგინალურია ლესია უკრაინკას ნაწარმოებებში საქართველოში მიღებულ შთაბეჭდილებათა ასახვა. თუ პოეტი თავის წერილებში პირდაპირ და უშუალოდ ლაპარაკობს ამ შთაბეჭდილებებზე, აქ აღძრულ გრძნობებზე, ამას ვერ ვიტყვით თხზულებების შესახებ. ლესია უკრაინკა მისთვის ჩვეული განუმეორებელი ხელოვნებით აქცევს საქართველოში მიღებულ შთაბეჭდილებებს ნაწარმოების მთლიან ქსოვილში. მხოლოდ დაკვირვებულ მკითხველს თუ მკვლევარს შეუძლია დაინახოს ამ შთაბეჭდილებათა კვალი, საქართველოში მომხდარი ამბების ანარეკლი, და ეს მხოლოდ ლესია უკრაინკას საოცარი პოეტური შთაგონების უნარზე მიუთითებს. ის ყოველ კონკრეტულს, კერძოს საზოგადო თუ საქვეყნო პოზიციებიდან უდგებოდა და კიდევაც აღწევდა ამ მოვლენების ფართო განზოგადებას.

მადლიერმა ქართველმა ხალხმა ფაქიზად შეინახა გენიალური უკრაინელი პოეტი ქალის ნათელი ხსოვნა. სურამში, სადაც პოეტმა ქალმა დალია სული, გახსნილია ლესია უკრაინკას სახლ-მუზეუმი, აქვე პოეტს დაუდგეს დიდებული ძეგლი, რომელიც გამოჩენილ ქართველ მოქანდაკეს თამარ აბაკელიას ეკუთვნის. თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქების ქუჩებს დაერქვა ლესია უკრაინკას სახელი.

ლესია უკრაინკას ყველა ძირითადი პოეტური ქმნილება თარგმნილია ქართულად, გამოცემულია მისი ლექსებისა და პოემების კრებულები, ჟურნალებში და გაზეთებში არა ერთი საინტერესო წერილია დაბეჭდილი დიდ უკრაინელ პოეტზე, გამოცემულია ცალკე გამოკვლევებიც. ყოველივე ეს უტყუარი საბუთია იმისა, რომ ლესია უკრაინკა იყო და დარჩა ქართველების საყვარელ პოეტად. სწორედ ამიტომ ქართველი ხალხი ზეიმით აღნიშნავს უკრაინელი ხალხის საამაყო შვილის დაბადების ასი წლისთავს.

**ვივი გვენეტაძე,**
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

---

# ფუნჯით გაცოცხლებული



ლესია უკრაინკას საქართველო მიაჩნდა თავის მეორე სამშობლოდ, ხოლო ქართველი ხალხი თავის სულიერ მეგობრად, ბუნებრივია, რომ ლესია უკრაინკას სახე ქართული სახვითი ხელოვნების არაერთ ოსტატს გაუცოცხლებია თავის ქმნილებებში. ამ ნაწარმოებთა შორის თავისი კომპოზიციით, მხატვრული ღირსებით ყურადღებას იპყრობს საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვრის უჩა ჯაფარიძის ფერწერული სურათი „ლესია უკრაინკა“.

მხატვარი ოსტატურად გადმოგვცემს მწერლისა და მოქალაქის საოცრად სათნო და შთამაგონებელ პორტრეტს. ხელოვანმა თავის ნაწარმოებში ჩააქსოვა არა მარტო ოსტატობა და სიყვარული, არამედ გამოხატა ქართველი ხალხის უანგარო და გულწრფელი დამოკიდებულება უკრაინელი ხალხის გამოჩენილი მწერალი ქალის ლესია უკრაინკასადმი და, საერთოდ, მთელი უკრაინელი ხალხისადმი.

ეს პორტრეტი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ ჯერ კიდევ 1954 წელს საქართველოს ხალხის სახელით საჩუქრად გადასცა უკრაინელ ხალხს. ამჟამად ეს ფერწერული ტილო უკრაინის დედაქალაქში ტარას შევჩენკოს სახელობის მუზეუმს ამშვენებს.

კარგია რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრის მ. ხვიტიას ფერწერული ტილო „სახლი სურამში, სადაც ცხოვრობდა ლესია უკრაინკა“.

შთაგონებით არის შესრულებული საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის რ. სტურუას ფერწერული ტილო, სადაც პოეტი ქალი გამოსახულია ძველი თბილისის ფონზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ ერთ-ერთმა უნიჭიერესმა ხელოვანმა, მოქანდაკე თამარ აბაკელიამ ჯერ კიდევ 1952 წელს შექმნა ლესია უკრაინკას სკულპტურა, რომელიც დადგმულია სურამში როგორც უკრაინელი და ქართველი ხალხების მეგობრობის ჩაუქრობელი სიმბოლო.

**ს. ნაციაშვილი,**
თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დოცენტი.

---

# საიუბილეოდ

● ლესია უკრაინკას დაბადებიდან 100 წლისთავს მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად განსაკუთრებული სიყვარულით აღნიშნავს ქართველი ხალხი.

გამომცემლობა „მერანმა“ კარლო კალაძისა და ალიკო შენგელიას რედაქციით საიუბილეოდ გამოსცა პოეტის რჩეულ ნაწარმოებთა კრებული. წიგნს დართული აქვს გრ. აბაშიძის წინასიტყვაობა. კრებულში შეტანილია ლირიკული ლექსები, დრამატული პოემები („კატაკომბებში“, „შემოდგომის ზღაპარი“, „უდრან ტყეში“, „ტყის სიმღერა“), პოემები და ლეგენდები.




● საინტერესო საიუბილეო ღონისძიებებს ატარებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული კლუბი „უკრაინა“ (თავმჯდომარე პროფესორი ო. ბაქანიძე). მოეწყო ექსკურსია სურამის ლ. უკრაინკას სახლ-მუზეუმში. კლუბის წევრებმა კოლმეურნეობის ბიბლიოთეკას, რომელიც უკრაინელი პოეტი ქალის სახელს ატარებს, გადასცეს წიგნები.

● კლუბ „უკრაინას“ წევრების ინიციატივით გამოვიდა ახალგაზრდა პოეტების ნ. აბესაძის, ლ. სტურუას, ა. გაფრინდაშვილის, რ. ჩილაჩავას და სხვების მიერ თარგმნილი ლ. უკრაინკას ლექსების კრებული უკრაინული ტექსტების დართვით. კრებულის სათაურია „სინათლე! სინათლე?“, რედაქტორები — ო. ბაქანიძე და რ. მიშველაძე (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა).

● თბილისის კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში ჩატარდა ლ. უკრაინკას დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა ბიბლიოთეკის მასობრივი მუშაობის განყოფილების გამგემ ს. გადელიამ. პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ილაპარაკეს ნ. ლაიშვილმა, ხოლო მოხსენება თემაზე „ლესია უკრაინკა საქართველოში“ — გააკეთა ნ. აკერმანმა. პოეტმა თ. ჯანგულაშვილმა წაიკითხა ლესია უკრაინკას ლექსები.

ბიბლიოთეკაში გახსნილია ლესია უკრაინკას ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი საიუბილეო გამოფენა.

„ლამაზად შვილის აღმზრდელი
დედა მიცვნია ღმერთადა!“.
ვაჟა-ფშაველა.

# აბა სცადეთ!

## ორიოდე მაგალითი აღზრდის პრაქტიკიდან

ამას წინათ ჟურნალ „ჟურნალისტის“ პირველ ნომერში წავიკითხე ოლეგ ორესტოვის წერილი „ინგლისი უბურუსოდ“. ავტორი გვამცნობს თავის დაკვირვებას ინგლისელი ხალხის ჩვევებსა და ცხოვრებაზე.

წერილის დასაწყისშივე ავტორი აღნიშნავს, ინგლისელები მთელ მსოფლიოში ცნობილი არიან თავიანთი თავაზიანობით, და ეს სრული სიმართლე არისო. ეს თავაზიანობა კი აღზრდიდან მომდინარეობს. მას ასეთი მაგალითი მოჰყავს.

დედა თავის ორი წლის ბავშვს ქუჩაში ასე მიმართავს:

— გენაცვალე, სიკეთე ქქენი, აიღე ბურთი და, თუ შეიძლება, მომაწოდე, დიდი მადლობა.

აბა დავუკვირდეთ. განა ჩვენ ასე მივმართავთ ხოლმე პატარას? ბავშვისთვის კი ალერსიან სიტყვას, თხოვნას დიდი მნიშვნელობა აქვს.

გავიხსენოთ ჩვენი ბავშვობა. როცა უფროსები მოგვმართავდნენ ხოლმე მბრძანებლური ტონით: „აიღე!“ „წადი!“, „მომიტანე!“. ასეთი დასაქმება ჩვენში საწინააღმდეგო რეაქციას იწვევდა, ვჯიუტობდით, რასაც შემდეგ უკმაყოფილება მოჰყვებოდა.

ბავშვი სულ მცირე ასაკიდან უნდა შევაჩვიოთ თავაზიანობას, მას ისევე უნდა ველაპარაკოთ, როგორც თანატოლს, თანასწორს. ასეთი მოპყრობა პატარას უყვარს, ის მის თავმოყვარეობას ზრდის და უფრო დამჯერსა და ჭკვიანს ხდის.

ზოგი სწორედ ამ მეთოდით ზრდის ბავშვებს და შედეგიც საუკეთესოა. ბავშვები იზრდებიან ყველას მიმართ თავაზიანები, დამჯერები, შრომისმოყვარენი.

მახსოვს, ერთხელ სტუმრად ვიყავი ამხანაგთან. ღია აივანზე დაახლოებით ორი-სამი წლის ბიჭუნები თამაშობდნენ. უცებ ერთმა მათგანმა თავისსავე პატარა სათამაშო მანქანას ფეხი წამოჰკრა და ცემენტის იატაკზე დაეცა, ცხვირი გაიტეხა. ბავშვს სიმწრისაგან თვალები ცრემლებით აევსო, მაგრამ როგორც კი დედას შეხედა, თავი ძირს დახარა.

დედამ იგი წამოაყენა, ტანსაცმელი გაუწმინდა, ცხვირი მოჰბანა, თან ეუბნებოდა:

— აბა, ვისი ბრალია, რატომ ტირი, შენ თვითონ ხარ დამნაშავე.

ბიჭიც მალე დაწყნარდა, ცხვირი თუმცა სტკიოდა, მაგრამ არ უტირია, მალე ბავშვებთან განაგრძო თამაში. დედამაც ისევ ჩვენთან გააბა საუბარი.

ამ შემთხვევამ ჩემი მეზობლის ოჯახი გამახსენა. საკმარისი იყო ბავშვი წაქცეულიყო, ან რაიმე თვითონ გაეკაწრა, რომ ოჯახში ერთი ალიაქოთი ატყდებოდა. ბიჭის მამა აუცილებლად ცოლს დაუწყებდა ყვირილს, ჩხუბს, შენ არ აქცევ ბავშვს სათანადო ყურადღებას. შენ ხარ დამნაშავეო. მამის აღშფოთებით გამხნევებული ბიჭი უფრო ხმამაღლა მორთავდა ღრიალს, იქით ბებია დაუწყებდა ბავშვს მოფერებას და გაამართლებდა თავის ქალს, რასაც შემდეგ დიდების კინკლაობა მოჰყვებოდა.

ბავშვს მალევე ავიწყდებოდა თავისი ხიფათი, უფროსებს შორის კი უსიამოვნება დიდხანს რჩებოდა.

აი ასე, არასწორად აღზრდილი ბავშვი, რასაკვირველია, არ გაიზრდება ზრდილი და კეთილი.

წერილი მიზნად არ ისახავს ასწავლოს ვინმეს ბავშვის აღზრდა, ეს მეტად რთული საკითხია და მას პედაგოგთა მრავალრიცხოვანი არმია ემსახურება. მაგრამ ისე გაგიზიარეთ ჩემი დაკვირვება და წერილსაც იმიტომ დავარქვი სათაური — აბა, სცადეთ!

**ლარისა ხუბულური.**



## ნანა ჯოხაძე და მისი ბავშვები



იგი ცხოვრობს და მუშაობს თბილისში. მისი სახელი და გვარი უკვე მოგახსენეთ. 31 პატარას ზრდის. ზრდის სიყვარულით, მზრუნველობით, დედობრივი სინაზით.

სამი მათგანი: დინარა, მანანა, ნინო მისი საკუთარი შვილებია, დანარჩენი 28 ნორჩი კი № 30 საბავშვო ბაღის აღსაზრდელებია, სადაც ნანა ჯოხაძე მუშაობს.

შეხედეთ ამ სურათს, და თქვენ დარწმუნდებით, რომ ბავშვები თავის საყვარელ მასწავლებელთან — დეიდა ნანასთან რა კარგად გრძნობენ თავს.

• • •

სურათებზე: ნანა ჯოხაძე საბავშვო ბაღის აღსაზრდელებთან (ზემოთ) და თავის შვილებთან დინარასთან, მანანასთან და ნინოსთან.

ტექსტი და ფოტო ს. კილაძისა.

---

ო, მოდა, მოდა!

# გაიმარჯვა „მიდიმ“

## აი რას გვთავაზობს მოდელების სახლი



ამ დღეებში მოსკოვში მუშაობა დაამთავრა ტანსაცმლის კულტურის მუდმივმოქმედი კომისიის XIII სხდომამ, რომლის მუშაობაში სსრ კავშირის მხატვარ-მოდელიორებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ პოლონეთის, უნგრეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლები.

შეკრებაზე მიწვეულნი იყვნენ საქართველოს მოდელების სახლის მხატვარ-მოდელიორები, რომლებმაც მოსკოვში წარადგინეს თავიანთი ნამუშევარი.

როგორია მოდების მიმართულება 1972 წლისათვის? რა საკითხზე გამახვილდა ყურადღება კომისიის სხდომაზე? — ამ კითხვებით მივმართეთ შეკრების მონაწილეს, თბილისის მოდელების სახლის მხატვარ-მოდელიორს გეტა ნანუკაშვილს.

— მოსკოვის კომისიის სხდომაზე ყურადღება გამახვილდა ტანსაცმლის სიგრძეზე, — გვითხრა ნანუკაშვილმა. — 1970 წელს და უფრო ადრეც მოდაში იყო „მინი“, მაგრამ იგი უკვე მოძველდა და, როგორც აღინიშნა, მან ქალის ნაკლოვანი მხარეები გამოამჟღავნა. მოსკოვის შეკრებაზე თითქმის ყველა ქვეყანამ წარმოადგინა ეგრეთწოდებული „მიდი“ — მუხლს ქვევით 5 ან 10-15 სმ. სიგრძის ტანსაცმელი. ასეთი სიგრძის ტანსაცმელი ქალს მეტად ელეგანტურს და მოხდენილს აჩენს. „მინი“ თითქმის გავიდა მოდიდან. მისი ჩაცმა შეიძლება მხოლოდ გრძელი პალტოს ქვეშ, ან შარვალზე. ესეც მიზანშეწონილია 20 წლამდე ასაკის ქალიშვილებისათვის.

1971 წლის მოდა გვთავაზობს „რბილ“ ფორმებსა და ხაზებს. „მიდი“ მუხლებამდეა შეხსნილი, რაც მეტად პრაქტიკული და მოსახერხებელია. კაბის ფორმაა წელში გამოყვანილი, ოდნავ ტრაპეცია. რეკომენდებულია ფართო საყელო, ჯიბეები, გასაფორმებელი გვირისტები, ნაკეცები, რამდენიმე ნაჭრისაგან შემდგარი ქვედა კაბა, კოკეტი და სხვა დეტალები.

უნდა აღინიშნოს, რომ 1971 წლისათვის მოდაში შემოვიდა შარვლები. მათი ჩაცმა ყველა ასაკის ქალს შეუძლია. სწორი ფორმის შარვლებთან გვხვდება შარვალი „გოლფი“. მისი ზედა ნაწილი წელზე მომდგარია, ქვედა კი — განიერი და ერთი შეხედვით ქვედა კაბის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ადრე მოდაში იყო გრძელი კოსტიუმები, მაგრამ „მინი“ რადგან დამკვიდრდა, ახლა ქვედა კაბის დაგრძელების გამო ტანსაცმლის პროპორცია შეიცვალა — ჟაკეტის სიგრძე შესაბამისად შემცირდა.

1971 წლის მოდის სიახლეს წარმოადგენს „კომპლექტის“ მრავალფეროვნება. კაბაზე უსახელო პალტო, ბლუზაზე კოსტიუმი, კაბაზე ჟილეტი და სხვ. ისინი შესრულებულია სქელი სახიანი ქსოვილებისაგან. ქვედა კაბა წინა პერიოდთან შედარებით უფრო ფართოა, სჭარბობს ნაკეცები. სიახლეა აგრეთვე გრძელი შარფები. ეს თითქმის აუცილებელი დეტალია თანამედროვე ტანსაცმლისათვის. თუ ზამთარში და გაზაფხულზე ხელით ნაქსოვი შარფები. გვხვდება, ზაფხულში იხმარება თხელი ქსოვილის შარფები.

რა თქმა უნდა, ყველა ასაკის ქალს სურს, რომ ჩაიცვას მოდური ტანსაცმელი, მაგრამ მან უნდა შეარჩიოს თავისთვის შესაფერი დეტალები, ხაზები, ფორმები და ფერები. იგივე, უნდა ითქვას სრულ და გამხდარ ქალებზე.

საგაზაფხულო ტანსაცმელში სჭარბობს თეთრი, ოქროსფერი, მუქი, ყავისფერი, ნაცრისფერი, შავი და ლურჯი ფერები.

ზაფხულის კაბები ჰაეროვანია. ბოლოში გაშლილი. საზაფხულო ტანსაცმლისათვის მოდაშია ერთფერი ქსოვილები, გეომეტრიული ნახაზებითა და ყვავილებით.

შეკრებაზე წარმოდგენილ ყველა ქვეყნის ტანსაცმელში იგრძნობოდა ეროვნული ელფერი. ეს მეტად სასიხარულო სიახლეა. ამ სიახლეს იყენებენ ქართველი მოდელიორებიც, განსაკუთრებით ზამთრისა და საღამოს ტანსაცმელში.

**ნანა შინჯიკაშვილი,**
**ეთერ ჩიგოგიძე.**



სურათებზე: ახალი მოდელები, რომელთა ავტორები არიან მხატვარ-მოდელიორები ი. კიკნაძე და ი. ნაცვლიშვილი.

ფოტო ს. კილაძისა.

---

# გიწვევთ „პირიმზე“





„პირიმზე“ — ასე ეწოდება ახალ საყოფაცხოვრებო მომსახურების ცენტრალურ სახლს, რომელიც ახლახან გაიხსნა თბილისში, კოლმეურნეობის მოედანზე. აქ დიდი ყურადღება ეთმობა ჩვენი დიასახლისების სანიმუშო მომსახურებას. მათ შეუძლიათ სპეციალური საგამოფენო სალონის შეკვეთის მაგიდის საშუალებით მისცენ შეკვეთა მოდურ ტანსაცმელზე, ტრიკოტაჟის ნაწარმზე, ნაქსოვზე, ფეხსაცმელზე, ამორჩეულ სამკაულზე ან სუვენირზე.

ქალების განკარგულებაშია საპარიკმახერო, კოსმეტიკის კაბინეტი, ფოტოატელიე, საყოფაცხოვრებო ტექნიკის შემკეთებელი ბევრი საამქრო, ტანსაცმლის ახალი მოდების სადემონსტრაციო დარბაზი და მრავალი სხვა.

სურათებზე: მარცხნივ — საყოფაცხოვრებო მომსახურების ცენტრალური სახლი „პირიმზე“; მარჯვნივ — ტრიკოტაჟის საამქროს სალონი.

ტექსტი და ფოტო ს. კილაძისა.

---

სპორტი

# ასპარეზობათა პანორამა

☐ **გუშინ** გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშების ოცდამეთორმეტედფინალური მატჩები ფეხბურთში. აი მათი შედეგები: „სტროიტელი“ (აშხაბადი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 1:1, „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) — „ალგა“ (ფრუნზე) 1:1, „მოლდოვა“ (კიშინიოვი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 2:0, „კუზბასი“ (კემეროვო) — „ვოლგარი“ (ასტრახანი) 2:0, „დაუგავა“ (რიგა) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 1:0. ამ გუნდების მეორე მატჩები შედგება 10 და 11 მარტს.

☐ **კომპლექსურ** ჩათვლაში პროფკავშირთა ზამთრის სპარტაკიადაზე ლიდერები არიან მოსკოვის, ლენინგრადისა და ყაზახეთის გუნდები. 15 კილომეტრზე სათხილამურო რბოლაში ვაჟთათვის გაიმარჯვა ა. ბერეზინმა. ფიგურისტთა სპორტულ ცეკვებში ჩემპიონობა დაიმსახურეს ტ. ვოიტიუკმა და ვ. ჟიგალინმა. ბიატლონში მთავარი პრიზი გადაეცათ ყაზახეთის სპორტსმენებს, ციგაობაში — ლენინგრადელებს, სამთო-სათხილამურო სპორტსა და ჩქაროსნულ ციგურაობაში — მოსკოველებს.

☐ **კიევის** „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი ახალი სეზონისათვის უნგრეთში ემზადება. აქ დინამოელებმა სამი მატჩი გამართეს. პირველი შეხვედრა დბტკ-ს გუნდთან ფრედ — 0:0 დაამთავრეს, შემდეგ კი მოუგეს მტკ-სა და „სპარტაკუს“ გუნდებს 3:0, 4:1.

☐ **შვეციაში** გაიმართა მსოფლიო პირველობის მორიგი ტურის მატჩები ბურთიან ჰოკეიში. საბჭოთა გუნდმა მეორე გამარჯვება მოიპოვა, ამჯერად ნორვეგიელებთან 8:1.

☐ **აშხაბადში** დამთავრდა იუნიორთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში. გადამწყვეტი მატჩი ჩეხოსლოვაკიისა და გდრ-ის გუნდებს შორის როგორც ძირითად, ისე დამატებით დროში დამთავრდა 0:0. დებულებით ჯგუფურ ტურნირში მეტი ბურთის გატანისათვის პირველობა ჩეხოსლოვაკიელებს მიენიჭათ.

☐ **რიგაში** შედგა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი კალათბურთში რიგისა და კიევის სკა-ს ვაჟთა გუნდებს შორის. წარმატება რიგელებს ხვდათ 71:68.

---

სარვამარტო სალაღობო

# აღსარება!

## ერთ რვა მარტსაც გავუძლებ...

ერთ მშვენიერ წინასარვამარტო დილას ცოლმა ისე შემომხედა, თითქოს ძიუდოს ილეთის გაკეთებას მიპირებსო, და წარბშეკრულმა შემდეგი მიბრძანა:

წახვალ „სპეკულიანტებში“ და ჩემთვის იყიდი ისეთ ქურქს, რომ მთელ ქალაქში არავის ექნება.

შენს ცოლისდას, ელიკოს, უშოვნი საკაბეს.

მეორე ცოლისდას, ნუნუკას ფეხსაცმელს — „ფრანცუზკებს“.

მესამე ცოლისდას — სიუზანას, მიართმევ იმპორტულ, „პერელივაიუშჩი დვოიკას“.

სიდედრს (გადაყოლილი რომ არის შენზე), გაუგზავნი ტელევიზორს, ას მანეთ ფულს და მისალოც დეპეშას.

დეიდაჩემს — კლეოპატრას, 8 მარტს მიულოცავ ახალი რადიოლით.

მამიდაჩემს — ფუფუნას — წინდებს, შარფს და ოქროს საყურეებს უფეშქაშებ.

ბებიაჩემს, ოლღას, გაუგზავნი ლამაზ ჟორსეტ პერანგს, კრეპჟორჟეტის წინსაფარს და თბილ თავშალს.

ჩემს ამხანაგებს აჩუქებ დუხებს, პუდრებს, ოდეკოლონებს, სარკეებს, ხელჩანთებს და ცხვირსახოცებს (ცოტაა, მაგრამ მაინც გაუხარდებათ) და, რაც მთავარია, მოსაწვევ ბარათებს.

ორი დღით ადრე, 8 მარტამდე, წაბრძანდები ბაზარში, ესტუმრები გასტრონომებს, ჩაფრინდები სოფელში, მოიტან ღვინოს, საქლავს, რაღაცეებს და მოამარაგებ ოჯახს საქეიფოდ.

მერე ჩემს თანამშრომლებს დამიპატიჟებ ოჯახში.

მე კი (ვაი ჩემს თავს უბედურს), წავეთრევი საპარიკმახეროში და წავჩანჩალდები თეატრში...

მეორე დღეს, ცოლი შინ რომ არ იყო, ბაზრიდან გრძელი თოკი მოვიტანე (ვინაიდან ჩემი ოთახი დაბალჭერიანია, სარდაფში ჩავიპარე), დიდი ვაი-ვაგლახით თოკი სარდაფის ჭერს გამოვაბი, ჩავამარყუჟე, მერე ეს წერილი დავწერე და.. აბა, აცრემლებული მივემართები თოკისაკენ... თუმცა არა... ერთ რვა მარტსაც გავუძლებ. აბა თეფშებს ვინ დარეცხავს?

**ვ. ცინცაძე.**

### რას არ გაიგონებ...

● **ჰოლანდიელ** იაკობ ვან ნისენის ვაჟს ბედი ეწია. როცა მისი ხანშიშესული მამა დაქორწინდა 18 წლის ქალიშვილზე, ვაჟმაც არ დააყოვნა და ცოლად შეირთო დედინაცვლის 40 წლის დედა. ასე რომ „იღბლიანი“ ვაჟი თავისივე თავის პაპა გახდა.

● **ჯექსონს ვილის** (ფლორიდის შტატი) სასაფლაოზე ყურადღებას იქცევს ერთ-ერთ საფლავის ქვაზე ოქროს ასოებით გაკეთებული წარწერა: „გეფიცებით, რომ არასოდეს აღარ შევირთავ ცოლს“. („ნაუკა ი ჟიზნ“).



— დღეს ეს თაიგული იკმარე და ხვალ სხვანაირად მოგელაპარაკები...

ნახ. ვ. რენჩინისა.



— ოღონდ თანხმობა მომეცი და რასაც ხედავ ყველაფერი შენი იქნება..

ნახ. ფ. ვიცისა,
ჟურნალი „ჩეხოსლოვაკია“.

### ანდაზები, ნაქვესები

☐ ოჯახს ქალი ათბობს და არა ღუმელიო.

☐ გუთანმა თქვა — დაილოცოს დედის მადლი: კაცი მყავს მოკიდებული და მაინც გუთნისდედას ეძახიანო.

☐ ოჯახს უთქვამს — საერთო ქონება ისე ვერ მაღონიერებს, როგორც საერთო ენაო.

● ჩვილმა თქვა — მამიკოსთვის სამი თვისა ვარ, დედიკოსთვის მთელი წლისო.

● დაღლილმა ენამ შენატრა კაბას — ნეტავ ჩემი დამოკლების მოდასაც მოვესწროო.

● მარტმა შემოუთვალა ქალებს — ღმერთმა გაშოროთ ჩემნაირი ჭინჭყლობაო.

**ვახტანგ ჯავრიშვილი.**

---

# კროსვორდი



**ჰორიზონტალურად:** 3. შენობის შიგაგაფორმება; 8. ...ძევახ პიტიახშის ასული; 9. ყვავილოვანი მცენარის ჩანასახი; 12. მსუბუქი, თხელი ქსოვილი; 14. ხალხური საკრავი; 16. იტალიელი კინოვარსკვლავი; 17. ყურძნის ჯიში; 18. შეჯიბრების, გათამაშების ეტაპი; 19. ამირანიანის გმირი ქალი; 21. თილისმა; 23. მითოლოგიური ქალთევზა; 24. ქალაქი მოსკოვის მახლობლად; 25. რომაელთა მონადირე ქალღმერთი; 26. მითოლოგიური მეომარი ქალი; 28. ვერდის ოპერა; 29. დედის სიმღერა; 30. ცნობილი მომთვინიერებელი ქალი.

☐

**ვერტიკალურად:** 1. სილამაზის, სიყვარულის ქალღმერთი; 2. სხვისთვის კარგის ქმნა; 4. სერვანტესის პიესა; 5. ქართველი მწერალი ქალის ფსევდონიმი; 6. „კრაზანას“ ავტორი; 7. ქ. ლორთქიფანიძის მოთხრობა; 10. ეგვიპტის დედოფალი; 11. ა. კრეინის ბალეტი; 12. ხელობა; 13. საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მოღვაწე; 14. მრავალსაჭრისიანი ინსტრუმენტი; 15. მეცნიერება; 20. საჟურნალ-გაზეთო ჟანრი; 21. გზავნილება; 22. ჟორჟ სანდის რომანი; 23. სპორტული ასპარეზი; 27. ფოლადისა და ნიკელის შენადნობი; 28. სამედიცინო ტერმინი, დაზიანება.

### კასუხები ადრე დაბეჭდილ კროსვორდზე

**ჰორიზონტალურად:** 4. მელიქიშვილი. 7. ანაკლია. 8. იაშვილი. 12. ალადინი. 14. აპოლონი, 15. ისინდი. 17. კათეტი, 18. მანცუ. 19. ნეონი. 22. ალვანი. 23. ივანაი. 24. დისტიქი. 26. გარინჩა. 27. ნიგერია. 29. ოსტრავა. 30. ალექსანდრია.

**ვერტიკალურად:** 1. ალბანია. 2. შუისკი. 3. ჰიმალაი. 5. დარვინი. 6. ბაღდათი. 9. ავსტრალია. 10. გონდურასი. 11. პოლინეზია. 12. ნატახტარი. 13. ისანი. 17. კანტი. 20. ლალიონი. 21. მარენგო. 24. დაგომეა. 25. ინდაური. 28. ერმაკი.

### ყველა კითხვაზე ზუსტი კასუხები გამოგზავნეს

ლენა ზებედაშვილმა, ნატო ბიგვავამ, ლილი ყიფშიძემ (თბილისი), მ. გოგოლაძემ (აბასთუმანი), პიერა ხუროძემ (ცხაკაია).

**რედაქციისაგან:** პატივცემულო ქალებო! დღევანდელ ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის სწორი ამოხსნისათვის რედაქციას თქვენთვის დაწესებული აქვს ჯილდოები. რასაკვირველია, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ კროსვორდის ამოხსნაში მონაწილეობა არ მიიღონ მამაკაცებმა!

ველით თქვენს პასუხებს 22 მარტამდე.

---

# ტელევიზია

● 7 მარტი

10.15 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ბავშვებისათვის — „მაღვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — მუსიკალური კიოსკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — უფროსკლასელთათვის. სატელევიზიო დადგმა „ჩაიკოვსკის შემოქმედებითი ფურცლები“ (ცენტრალური ტელევიზიის ნაწარმოები), 12.40 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — კინოაფიშა, 13.00 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ბავშვობის უფლება“ (ქართულ ენაზე), 13.50 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „მულტპანორამა“ (განმეორებით), 14.50 — კონცერტი, 15.20 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. დოკუმენტური ფილმი, 16.15 — „სოფლის მშრომლები“ — რსფსრ (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.55 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.45 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „მსოფლიოს მუზეუმებში“. ტრეტიაკოვის გალერეა, 18.15 — გადაცემა — „მებრძოლი ქალის სახე ქართულ საბჭოთა კინოში“, 19.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 19.10 — ციკლიდან „მეგობრობა გზად და ხიდად“. გადაცემა „ლესია უკრაინკა“, 20.00 — საქართველოს სსრ ხელოვნების ოსტატთა კონცერტი, მიძღვნილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავისადმი (ტრანსლაცია ერევნიდან). ტრანსლაციის შემდეგ — საქართველოს ფერადი ტელევიზიის კინოდარბაზი — მხატვრული ფილმი „გრაფინია კოსელი“.

**საქართველოს ტელევიზიის II საცდელი პროგრამით**

19.30 — მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ცეცხლი ჩემსკენ“, IV სერია 20.35 — სატელევიზიო ფილმი — „სვიატოსლავ რიხტერი“.

● 8 მარტი

11.00 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა „კარუსელი“ — (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.45 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „მაჟანა“, 13.00 — კინონარკვევი, 13.15 — საესტრადო კონცერტი — „მუსიკალური სუვენირები“, 14.05 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. ნახატი ფილმები, 14.45 — კინოპროგრამა, 15.15 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „მუსიკალურ მერიდიანებზე“, 16.00 — „ასფურცელა“ — სატელევიზიო გადაცემა, 16.55 — კონცერტი, 17.35 — სატელევიზიო დადგმა „აგატა თხოვდება“ — (საქართველოს ტელევიზიის ნაწარმოები), 18.00 — კინონარკვევი, 18.10 — ახალგაზრდობისათვის — „ჩვენ ვეძებთ ტალანტებს“ — თბილისის ზონა, 19.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის კინოდარბაზი. მხატვრული ფილმი „გრაფინია კოსელი“ (მეორე სერია), 20.40 — „იავნანა“ — სატელევიზიო ჟურნალი ქალებისათვის, 22.00 — კინონარკვევი, 22.10 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 22.40 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა. მინიატიურების სატელევიზიო თეატრი — „13 სკამი“ (გადმოცემა მოსკოვიდან).

**საქართველოს ტელევიზიის II საცდელი პროგრამა.**

19.30 — მხატვრული ფილმი — „საბჭოთა კავშირის ელჩი“, 21.10 — დოკუმენტური ფილმი „ერთი საათი კოზინცევთან“.

● 9 მარტი

11.05 — დოკუმენტური ფილმი, 12.05 — მხატვრული ფილმი, — „შურისძიება“ (პირველი სერია), 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — ბავშვებისათვის მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 18.40 — „განვიხილავთ დირექტივების პროექტს“, 19.00 — ლესია უკრაინკას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამოს ტრანსლაცია თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრიდან. შესვენების დროს „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — „დრო“ — საინფორმაციო პროგრამა, 22.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის კინოდარბაზი. მხატვრული ფილმი „თეთრი მგლები“.

**საქართველოს ტელევიზიის II პროგრამით.**

19.30 — მხატვრული ფილმი — „ჯარისკაცის მამა“, 21.10 — დოკუმენტური ფილმი — „კავკასიელი წადადან“.

გაზეთ „კომუნისტის“ შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 10 მარტს.

**რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ**

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი

თბილისი ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99 93 08, 99 03 09, პ/მგ მდივნის — 99 78 80, ხამდივნოსი — 99 66 10, განყოფილებებისა: პარტიული — 99 87 61, პროპაგანდის — 93 22 93, მრეწველობის — 93 20 84, სოფლის მეურნეობის — 99 52 46, საბჭოთა მშენებლობის — 98 18 70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93 27 58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99 55 01, ინფორმაციის — 93 16 90, სატირისა და ფელეტონის — 99 60 21, უცხოეთის — 98 95 97, წერილების — 99 73 24, ილუსტრაციის — 93 28 54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443

უე 02777

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.